ჩვენი თაობა

საახალგაზრდო გამომცემლობა

8

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენი თაობა

12 772

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

თბილისი
1938

№ 8
აგვისტო

შინაარსი

38

მხატვრული ლიტერატურა

ალიო ადამია — ლავრენტი ბერია ახალ იმერეთის ახალგაზრდებთან 3
გიორგი ძიგვაშვილი — სამი ლექსი . . 6
მარიკა მიქელაძე — ჩემი სამშობლო . . . 8
ალეკო შენგელია — ყავალი 10
მირზა გელოვანი — საუბარი იორთან . . . 11
ვარლამ ჟურული — ნარინჯების მხარეში . . 13
ვლ. ავალიანი — გელიყარა (ისტორიული ნოველა) 14
მიხეილ კოლცოვი — ესპანური დღიური . . 21

კლასიკური მემკვიდრეობა

ვლ. მაიაკოვსკი—არაჩვეულებრივი ამბავი, რომელიც შეემთხვა ვლადიმერ მაიაკოვსკის ზაფხულში, აგარაკზე 40
ტარას შევჩენკო — ზამბახი 44

ლიტერატურის ისტორია

იაკობ ბალახაშვილი — მაიაკოვსკი თბილისში . 47
ვიქტორ გოლცევი — დავით გურამიშვილის ბედი 55

ბიბლიოგრაფია

გ. მებუკე — გრიგოლ აბაშიძე „შავი ქალაქის გაზაფხული“ 60

პასუხისმგებელი რედაქტორი **ირაკლი აბაშიძე**
პასუხისმგებელი მდივანი **ნიკ. აგიაშვილი**

ალიო ადამია

ლაკრიმატორია
ახალ იმერეთის ახალგაზრდებთან

ამოჰყვა დილის ცისკრიან ლაჟვარდს,
ლაჟვარდის სხივით შემობურვილი,
მოვიდა ხალხის გულივით სადა,
დინჯი და ბრძენი ხალხის გულივით...
შემოეხარენ ველნი ცვრიანნი,
ჯეჯილიანი, ვრცელიც, უხნავიც,
ვერხვები შეხვდნენ დიდის შრიალით,
ტოტებ-დარხევით შეხვდა მუხნარი!
გადმოუარა სერებს და მერე
უმზერდა იგი ახალ იმერეთს:
იგი ლამაზი და შნოიანი
ახალ სახლებით და ეზოებით
და მოცახცახე ველზე ჩრდილებით
ალვისხეების კენწეროების —
დიდის ხალისით უწვდიდა ხელებს
და უხაროდა ჩამოსვლა მისი,
ვინც სილაღე და სიკეთილდღევე
შეუქმნა მყარი და მარადისი....
შემოხაროდნენ ვაზის ლერწები,
ყველა რძიანი და განახარი,
და ცვარდაყრილი ვარდის ფურცლები,
ვით სილამაზე მარად უცვლელი, —
შარიშურობდნენ ვაჟკაცის სახელს
და შეცრეცილი ნისლი ებურათ,
ახამხამებდნენ თვალს და წამწამებს
ცოცხალი კაცის თვალისებურად...

*

* *

შემოიორთქლეს ცვარი ყანებმა,
დიდი ჭალების გადგა შრიალი,
შენ მხიარულმა და ღიმნარევმა
გლეხის ოჯახში შემოიარე.
გასინჯე, ნახე, მიუალერსე,
ხელით შეეხე ბავშვებს, ყვავილებს,
ეზოში დარგულ ხეხილს და ნაშენს,
ლობესთან სარი წამოაყენე, —
შემოგხვეოდნენ ირგვლივ ბავშვები
და შენც ღიმილით გაეთამაშე....

*

* *

მზე შედგა მაღლა და ეზოკარში
გაეგო ალვის ხეთა ჩრდილები
და ბანთან ჯგუფად შექუჩულ ხალხში
ჩონგურს უკრავდნენ ქალიშვილები:
მხარს მისცეს მხარი ახლოს და ახლო,
ჩასჭიდეს ხელი საერთო ღობალს,
ყველა სახლები და სამოსახლო
დაშნოიანდა და აყვავილდა....
შენ გიმადლიან — შენი მარჯვენის
ძალამ დასტამბა სიმღერა გულთა,
სიმღერა შრომის და გამარჯვების,
სიმღერა შრომით გამარჯვებულთა....

*

* *

უკრავდნენ ჩონგურს და სიმთა წკრიალს
აჰყვა ფრინველთა ნაზი გალობა
და როგორც დიდი შთამომავლობა
ბავშვები ლხენით შემოხაროდნენ,
ვიცნეს თავისი და უხაროდათ....

*

* *

შემაღლდა ჩვენი ცხოვრების თაღი,
დიდი გმირობა სწორედ ეგ არი, —
როგორც სვანური „ლილეო“ მძლავრი,
შეიჭრა ხალხში ხმა საქებარი.
მას ჩემი ლექსის სტრიქონი ახლდეს,
ვეღარ მოჰღალოს ხანგრძლივ ტარებამ,
გასცდეს ველებს და ხეობებს გასცდეს
და ზღვის ტალღებზე გაწვეს ტალღებად, —
დაბრუნდეს შინ და ბევრით ნახული
შრომის, გმირობის დარჩეს ხალისად,
და მოიწონონ, ვით ჭირნახული,
წელს, წელს, შემდეგ და იმერგაისად!

*

* *

უკრავდნენ ჩონგურს, ჩამოწვა ბინდი,
დალოცეს კაცი თვით მზის სადარი,
ხუროთმოძღვარი, მჭედელი დიდი,
კარგის ცხოვრების დიდი მხატვარი.
და როცა გაჰქრა ბინდი თანდათან
და ბინდისფერიც გაჰქრა წამები, —
ღამე ჩამოდგა ისე ქათქათა,
როგორც აკაკის ლექსის ბწკარები!
რიონის ყველა ტალღა დალეწეს
და შეანელეს მისი ჩქერანი
და იმერეთის ღამეს არწევენ
დიდი ქალაქის მაჯისცემანი...
შენ გიმადლიან, შენი მარჯვენის
ძალამ დასტამბა სიმღერა გულთა,
სიმღერა შრომის და გამარჯვების,
სიმღერა შრომით გამარჯვებულთა!

*

* *

მე მთელი ღამე ეს ლექსი ვწერე,
ორთოლვით თანდათან დადნა სანთელი,
მზემ შეაფრქვია სხივები სერებს
და დღე მოვიდა შენებრ ნათელი....

ბიოლოგი ძიგვაშვილი

სამი ლექსი

1. ვაჟას აჩრდილი

მე ვაჟას შაირს როგორ ვკადრებ — შამაა ჩემი,
ბუნების კარი გამომიღო ოცნებამ მისმა;
მთის შვილი იყო და ბარს უთხრა მთიელის კდემით
ყვავილთა კვნესა, ჩიტის სიბრძნე, გველის თილისმა....

ბევრს ახსოვს თურმე გადმომდგარი კავკასის თავზე,
ჩახედავს ხევებს, ელვასავით ჩაჰკრავს, ჩაელავს...
იგრძნობენ მთებიც — ჩაუქრობელ სინათლით სავსე —
და მქუხარ ხმებით შეჰმღერებენ უკვდავ ფშაველას.

და მერე, როცა განთიადი ღრუბელს მეწამულს,
ალმასის კლდეზე შემორჩენილს გაადნობს ღრუბელს, —
დაჰყვება არაგვს, გადაუვლის ცოდვილ წიწამურს,
ნიშს, სადაც ერთხელ მას უფროსი ძმა დაუღუპეს,
და მზესთან ერთად ჩაეხვევა მთაწმინდის უბეს!

2. ზედაზნის ყვავილები

აქ ზამთარიც ვერ ამოვა, ალბათ,
ზედაზენო, თეთრ სუდარის მფენი,
არც გრიგალი დაუბერავს მძაფრად,
არც იტირებს უდედმამო შველი,
მზის მოყვარულს არც სიბნელე გზაფრავს —
ტკბილ შაირებს ჩაგმღერიან ტყენი...
ბრალი არი, რუსთაველის საფლავს
არ ამკობდეს ყვავილები შენი!

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐᲜ

ტკბილ სიმღერებს ბადესავით ართავს,
მოიმარჯვებს შაირებს და ფანდურს...
დადგებიან გურამიანთ-კართან,
მოსინჯავენ გუდებსა და ბანდულს,
მზეს შესთხოვენ — გზებს ველითო რამდენს...
ველს გასდევენ, ტკბილ სიზმრებში გართულს—
და ნიავი ამოიტანს მთამდე
ხევსურების ულამაზეს ქართულს!

ᲖᲐᲠᲘᲫᲐ ᲕᲘᲩᲔᲚᲐᲫᲔ

ჩემი სამშობლო

მისი ძალღონე მტრებმა იციან
და სიდიადე მისი მთებური.
ჩემი სამშობლო ლურჯი სივრცეა,
მილიონების მზით ანთებული.

ჩვენ მას გავხედავთ და გვიხარია,
ეს სიხარული მზისებრ გვედება.
ჩემი სამშობლო — ეს ის მხარეა,
რომ ზრდის აზრსა და შემოქმედებას.

სადაც მაღალი აზრი გაგანებს,
იქ სიტყვაცა და საქმეც ნაღდია,
იქ თვითეული მცირე საგანიც
კაცს მოუწოდებს — გმირი გახდიო.

ამას მოგვძახის მთა და ტაიგა,
მშობლიურ ზეცის ლურჯი მოარი,
და მშობლის ძახილს ვინც ვერ გაიგებს,
დაბადებიდან იგი ყრუ არი.

იგი ყრუ არი ან და მტერია,
მტერს კი დავხვდებით მაღალ გმირობით,
ასე ამბობენ, ასე მღერიან
ჩვენი ზეცანი უნაპირონი.

ჩვენ კარგად ვუსმენთ მშობლიურ ზეცას —
და ჩვენი მიწა მთიან-ხრამიან,
საბჭოთა წყალიც, საბჭოთა ხეცა
წინ გადუდგება ზრახვებს ღამიანს..

რათა მამულში მარად იდაროს,
ვმკიდეთ სიხარულს ოქროს ყანებად,
ჩვენი სიცოცხლე, ასე მდიდარი,
ჩვენ არასოდეს დაგვენანება!

დაე სამშობლო მარად იტევდეს
რაც მზით გამთბარი სილაჟვარდეა,
დაე მარადის, კიდით კიდემდე,
გადაშლილ იყოს დიდი ხარტია.

ენთოს სიმღერა მოგანთიადე,
და შრომაც იყოს სავსე ხალისით,
მარად ყვავოდეს მიწა დიადი
და მისი დროშა უმხურვალესი.

მისი ძალღონე მტრებმა იციან
და სიდიადე მისი მთებური.
ჩემი სამშობლო ლურჯი სივრცეა
დიდი ბელადის მზით ანთებული.

სიყრმეს, გმირობას და გაქანებას
სამშობლოს სივრცემ დასცა დასტური,
ჩვენც სამშობლოსთვის არ გვენანება
ჩვენი სიცოცხლე ახალგაზრდული.

ალეკო შენგელია

ყავალი. *)

ცხვრის ღრუბლებით მთები გადაინისლა,
მწყემსმაც დილას მიუმღერა ყავალი,
უცნაურად, ისე, როგორც თილისმა,
აღუღუნდა მთების გადასავალი.
გადახვალ და... ან გული რად გაგიწევს,
იქ არწივიც აღარ გადაფრინდება;
შენს მიწაზე ისე მტკიცედ აბიჯებ,
ლამის მისი კოცნაც კი მოგინდება.
გულს გიხარებს კომკავშირის ბილეთი,
სიჭაბუკეს—გოგო მაყვალთვალება.
სამშობლოზე რად მღერიო, ვინ გეტყვის,
ვაჟკაცობაც იმას ენაცვალება.
ახლაც გულთან საუბარით ხალისობ,
ახმატკბილებ ყავალს იალაღებზე;
გულიც გეტყვის, სიყვარული ჰყვავისრ,
და გოგონა თურმე მთებში დაგეძებს...
გახედავ და, თვალებს ჭმუნვით დაჰბურავ,
საზღვარს იქით ნუღარც ქარი გადავა...
ვსთქვათ; ყავალმა როგორ გამოაბრუნა,
ცხვარი საზღვარს გადასული ნადავლად.
ისე ტკბილად დაჰღუღუნებ იალაღს,
ბაიათებს, სამშობლოზე დიდებას,
ცხვარს საზღვრიდან დააბრუნებ კი არა,
ის ვარსკვლავიც, მგონი აქ დაფრინდება.
როგორ მინდა, გითხრა ჩემი სათქმელი, —
შეც ვამაყობ შენი სიყმაწვილეთი,
გულს რომ გითბობს სიყვარული ნათელი,
სიჭაბუკეს — ვაჟკაცობის ბილეთი.

---

*) სალამურის მსგავსი საკრავი

ᲨᲘᲠᲖᲐ ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

საუბარი იოთამზე

„მოისმის ივრის ჩქრიალი,
სიზმარს უამბობს ჭალასა“.
ვაჟა-ფშაველა.

ვაჟამაც აქო შენი ტალღები
და ალბათ მგზავრმა გითხრა ლექსები.
სადაც მორევში, როგორც ბალღები
ჭყუმპალაობენ მურყნის ფესვები.
კარგი წყალი ხარ! კალმახის ბუდე,
საიალაღო ცხვრების აბანო.
შენთან მწყემსები იხსნიან გუდებს,
ტალღებს სხეული რომ დაამგვანონ.
მთების ლაჯებში ბორგავ მძვინვარი,
ორწოხებს სწვდება ტალღების ტაში.
ზოგჯერ ავდები ტან-ნაწვიმარი,
დალეწავ კლდეებს, ბილიკებს წაშლი.
რომ შიშ-ნაჭამი ახავლდეს შველი,
მურწაც ქვებს ულვაშს უღიტინებდეს,
რომ ჩახჩახებდნენ ტალღები შენი
და დამსხვრეული შავი ტინები.
მთვარე რომ ტალღებს ააფერადებს,
ზეცა იმსხვრევა ყვითელ შუშებად,
იძალებს შუქი და ტანკენარებს
თავის ჩრდილები ეხამუშებათ.
მორევში მოსჩანს ვერცხლის მადანი
და ჟრუანტელი როცა იალებს,
ნაპირზედ მყოფი ერთი მათგანი
ჩემს ლექსს ჩურჩულით გაგიზიარებს.

მაშ მითხარ ლექსი, აქ აფრენილი
სად დაიბერტყავს მხრებს ეჟვნებიანს.
მითხარი, ღამით ვერხვის ფოთლები
ჭალას რა ზღაპარს ეუბნებიან.
ჯერ კიდევ ბავშვი გხვდებოდი დილით
დიდგულის თოფით და ჯოხის ცხენით,
გვეფარა ცა და გაშლილი ჩრდილი
შენს ნაპირზე რომ აჩენენ ხენი.

* *

მას შემდეგ მოდის თერთმეტი წელი,
თერთმეტჯერ ხეთა თოვლისგან დახრა
თერთმეტჯერ გახმა ტბის პირას ლელი
და მეთორმეტედ ამწვანდა ახლა.
შენც შეიცვლები, დაიდგამ ჯიღას,
გაუკვირდება ჩამოსულ ფშაველს:
გიამბობს ორი ობოლის იგავს,
მიწაზედ ყოფნა რომ დაუშალეს.
მთვარეს დაფარავს სხივთა შქერები,
შენი ტანიდან გამონაწოვი.
მაშინ მეც უფრო მოგეფერები,
ჩემო იორო, აკვნად ნარწევი.
და შინდა მიწას ლექსების შქერი
შენი შხეფივით გადმოვაყარო.
...ვსაუბრობთ ასე, ვსაუბრობთ ლხენით
ამ საუკუნის ორი მაყარი.
როგორ კარგი ხარ! როგორ იცვლები!
მოდი, მომეცი ძმური ხელები.
კაცი მგონიხარ, გულს გეფიცები,
და ასე მისთვის გემეტყველები.
ვაჟამაც აქო შენი ტალღები,
მთიელმა — მთიელს გითხრა ლექსები,
სადაც მორევში, როგორც ბალღები,
ბუმპალაობენ მურყნის ფესვები!

ჟარლამ ჟურული

ნარინჯების მხარეში

აგერ სიმწვანით სავსე ნაძვია,
თოვლი კაშკაშებს აჭარის მთაზე,
ახლა ლაჟვარდი ზეცას აცვია,
დილა იღვიძებს ჩიტების ხმაზე.
ისე წყნარი და ხუფთაა პონტო,
მგონია თითქოს ერთი წვეთია.
ჩუმად შრიალებს ნარინჯის ტოტი,
ოქროს ნაყოფი რომ მოწყვეტია.
მინდა სულ ასე ლამაზი იყოს
ჩაის, პალმის და ვარდის ქვეყანა.
ცაში გაფრენილ მამაც ფადიკოს
ნეტავ ღრუბელიც შორს წაეყვანა.
ნეტავ ბულბულად მაინც მაქცია,
გული ამ წალკოტს რომ ველარ ტოვებს.
ყვავილებს შორის დგას აკაცია,
ფუტკრის ლაშქარი ესევა რტოებს.
ახლაც ლიმონებს კრეფენ ქალები,
თოვლი კი ბრწყინავს აჭარის მთაზე,
მოდით, ჩამიდგით ჭიქის თვალები,
თორემ სულ დამწვა ამ სილამაზემ.

ვლ. აფალიანი

გელიყარა

ისტორიული ნოველა

კახაბერს თოფი კომბალივით გაედო მხრებზე. ზედ გაშლილი მკლავები გადაეწყო და სიმღერით მიდიოდა.

გელიყარის უფსკრულის მარჯვნივ, კლდის ძირას, დაჩრდილულ მწვანეზე შეიარაღებული მგზავრი ისვენებდა.

რადგან გზა ამ ადგილს კარგა მანძილიდან პირდაპირ გაჰყურებს, კახაბერმა შორიდანვე შენიშნა უცნობი. ეტყობოდა დაღლილი იყო. შორიდან მომავალი, მცირე ხნით დასასვენებლად წამოწოლილიყო, მაგრამ ნეტარების წუთებში ჩაეთვლიმა და უნებურად ჩასძინებოდა.

მიახლოვებისას კახაბერმა სიმღერასაც უკლო და ნაბიჯსაც, რაც უფრო მის ცნობისმოყვარეობას ადასტურებდა. ვიდრე სიფრთხილეს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ კოჯრის გზაზე კახაბერს სიფრთხილე არ დასჭირდებოდა. სჯეროდა, რომ არა თუ ადამიანის მსგავსი სულიერი, ბალახის ღეროებიც კი ძრწოლით ირხეოდნენ, როცა ახლოს ჩაუვლიდა.

მაგრამ იცნო თუ არა მიძინებული მგზავრი, ამ კაცის მშვიდმა და უწყინარმა გამომეტყველებამაც კი უმალვე შეუშფოთა სული უდარდელად ამღერებულ სპასალარს: სისხლჭარბი ლოყები გაუფითრდა, სახე გამხდარი ჩალის ფოთოლივით გადაეცრიცა და გაუშეშდა, წვრილი თვალების მომწვანო გუგების შუაგულში ჩასმული პატარა შავი წერტილებიც კი თითქოს სავსებით გაუქრა...

*

* *

მტერმა სვიმონ მეფეს ლუარსაბზე უარესი დღე დააყენა. გახშირდა ბრძოლა, საზღვრებზე თავდასხმა და სპარსეთის მეზობლად

შემდეგ ძმამაც უღალატა, გაუდგა და სპარსეთის შაჰის წინ მუხლმოდრეკილი დაეცა. მატიანე სვიმონის ძმის დავითისაგან სამშობლოსადმი ამგვარ ღალატს და კაცურ სულმოკლეობას თვით მის უმწეობასა და უჯიშობაში ხედავს. სხვანაირად არც შეიძლებოდა მოქცეულიყო დავითი, კაცი ხორცმოყვარე და მეძავ-განცხრომელი.

შაჰთამაზმა ის, როგორც სამშობლოს მოღალატე და თავისი უსაზღვროდ მორჩილი, უმალვე გაამაჰმადიანა. სახელიც შესაფერისად გადაუკეთა: დაუთხან.

უბოძა ფულადი ჯილდო, შემოსა ძვირფასი ტანსაცმელით, დაახურა თაჯი — გვირგვინი, დოლბანდზე მჭიდროდ შემოხვეული ოქროქსოვილით და თორმეტი ჯიღით შემკული. უბოძა ხმალი და ხანჯალი, ცხენი ოქროთი მოჭედილი და თვლებით მოოჭვილი საკაზმავით. უბოძა ოქროს სასმისები — სურა და თასი.

მხოლოდ სულმოკლე კაცი შეიძლებოდა მოეხიბლა ასეთ საჩუქრებს.

შაჰისაგან ზურგგამაგრებულმა და გათამამებულმა დაუთხანმა მალე გამოსწია ქართლისაკენ, რომლის მეფობაც უკვე „უბოძა" შაჰთამაზმა. ამიერიდან ერთმანეთის სისხლის მონატრული ძმების ბრძოლა დიღომთან გაიმართა. ბრძოლა ხანმოკლე იყო, მაგრამ მეტად ფიცხელი.. დაუთხანი სამარცხვინოდ დამარცხდა, მაგრამ ამის შემდეგაც იმდენი სინიდისი არ აღმოაჩნდა, რომ ძმასთან ახალი ბრძოლის გამართვის განზრახვაზე ხელი აეღო, მით უმეტეს, თითონაც სწამდა, რომ სვიმონის მხარეზე იყო მთელი სამშობლო — ხალხი, სიმართლე. მის მხარეზე კი მხოლოდ სპარსეთი.

ტფილისის ციხეში თავშეფარებულ დავითს სვიმონი შემოერტყა გარს, მაგრამ სვიმონს ჰუსეინბეგმა შემოუტია და დავითი იხსნა... დროებით. ჰუსეინბეგსა და სვიმონს შორის გამართულ ბრძოლაში დავითი ჩაერია, მაგრამ დამარცხება აქაც მას ხვდა წილად.

შაჰთამაზი გააცოფა თავისი მორჩილის ამგვარმა დამცირებამ და შეიძლება უძლურებამაც კი.

1569 წელს შაჰთამაზმა შეჰკრიბა მრავალრიცხოვანი ჯარი. ამავე დროს აცნობა შაჰვერდი სულთანს — შაქის მმართველს, ყარაბაღისა და შემახის ბეგლარბეგებს — გამოეყვანათ სასყიდლით ლეკის შამხალები, თავი მოეყარათ ემირებისათვის და ეშველათ დაუთხანისთვის. მალე ყველამ განჯაში მოიყარა თავი. განჯიდან ხუნანში გადმოინაცვლეს, მაგრამ იქ შეყოყმანდნენ, რადგან იმდროისათვის სვიმონ მეფეც დიდძალი ჯარით ანწუფისს მისულიყო.

ყველა გრძნობდა, რომ იქ უნდა მომხდარიყო რაღაც საშინელება, შეუპოვარ ვაჟკაცსაც რომ ჟრჟოლას ჰგვრიდა და გულს ბოღმით უვსებდა.

სპარსეთის მეზობლად მობინადრე კახაბერის ცოლის მშობლებისა და ნათესავების ამოჟლეტა სპარსელთა უკანასკნელ შემოსევის დროს, მათმა გახშირებულმა რბევა-თარეშმა, ძლიერ მტერთან მუდამ უთანასწორო ბრძოლამ, დაუთხანის საქციელმა, სვიმონ მეფის სიშმაგემ, რომელიც ასე შეუპოვრად ებრძოდა შემოსეულ მტრებს, — ყოველივე ამან ქართველების მცირე ნაწილს სამუდამოდ გაუტეხა გული და დაუკარგა ოდესმე წელში გასწორების რწმენა. ისინი მზად იყვნენ საქართველოს საუკუნეთა მანძილზე ვსოდენ სანატრელი და სისხლით გაბანილი დამოუკიდებლობა მშვიდობიანობაზე გაეცვალათ, მაგრამ წარმოდგენაც კი ვერ მოეხერხებინათ, როგორი უნდა ყოფილიყო თავისუფლებას შეჩვეული ადამიანების მშვიდობიანობა მტრის ხელში.

კახაბერ ყორლანაშვილმა ყველას დაასწრო. მოულოდნელად განუდგა სვიმონს.

...როცა კახაბერი თავის ბანაკში ეგონათ სვიმონ მეფესა და საჩინო ბარათაშვილს, როცა მასზე ძველებურად დიდ იმედებს ამყარებდნენ და სჯეროდათ, როგორც ყოველთვის, რომ იგი ამ ომშიც მიაღწევდა წარმატებას, კახაბერი თავის ბანაკში აღარ იყო და ეს ნდობით აღჭურვილი სპასალარი ამიერიდან სამშობლოს მიწაზე ამოსულ უვარგის ღერ ბალახად აღარ ღირდა.

კახაბერი მშვიდობიანად მიაცილა მთვარემ სვიმონის მტრის ბანაკამდე.

იმ წუთებში შაჰთამაზიც კი უჩვეულო შიშს შეეპყრო: ვინ იცოდა, იქნებ სვიმონს მისთვისაც სამარცხვინო საქმე დაემართნა ხვალინდელს ბრძოლაში. დაუთხანიც წინასწარ შეეკრთო შიშს, მაგრამ შიშზე უფრო დაუნელებელ ბოღმას მოეღრიცა ჰინაში მოთხუპნული წვერით შემოსილი მისი სახე.

შაჰმა ყორლანაშვილის გამოცხადება ალაჰის წყალობად ჩასთვალა, მხნეობა დაუბრუნდა, თუმცა, სანამ ის საბოლოოდ დარწმუნდებოდა კახაბერის ერთგულებასა და გულწრფელობაში, ეჭვებმა რამდენჯერმე ჩააფიქრეს მწარედ. განგებ მიგზავნილი ეგონა. თან უკვირდა — ასეთი სპასალარი როგორ გაიმეტა სვიმონმაო.

როცა ყორლანაშვილი სვიმონის ბანაკამდე ფრთხილად მიუძღვა მტერს და მოულოდნელად მიუსია, მაშინ კი დარწმუნდნენ შაჰთამაზ და დაუთხან კახაბერის ერთგულებაში.

მაგრამ ქართველები ვერც კახაბერის ღალატმა, ვერც სპარსელების მოულოდნელმა თავდასხმამ ვერ დააბნია. მსწრაფლ იკრეს ხელი ხმალს, შუბებიც აღმართეს, თოფები და მშვილდისრებიც მომართეს და მიესივნენ მტერს. პირველსავე კვეთებაზე უკუაქციეს მისი გუნდები.

დასაწყისს კარგი პირი უჩნდა და გამარჯვებაც ქართველებისკენ იხრებოდა, მაგრამ... მეფე მამაცი მეომრებითურთ სპარსელების საერთო გუნდიდან უნებურად მოწყვეტილ ჯგუფს გამოენთო. აქ ყორღანაშვილმა ერთხელ კიდევ ისახელა თავი: რაწამს დაინახა ასე სახიფათოდ განცალკევებული მეფე, უმალვე შაჰის ნებართვით მიუსია სპარსელების ძლიერი გუნდი. მტერი შემოერტყა სვიმონ მეფეს და მოსწურა. შამხალ სულთანის ერთმა თავგანწირულმა გულამმა, რომლის სახელიც ისტორიამ შეგვინარჩუნა — ჯემშიდმა გამოსტაცა სვიმონს ცხენი და სხვების დახმარებით უვნებლად დაატყვევა.

12 772

ყორღანაშვილი დიდად კმაყოფილი დარჩა, რომ მის მიერ დაწყებული საქმე ასე კეთილად წარიმართა. დღეს თუ სპარსელებმა გაიმარჯვეს, მხოლოდ მისი წყალობით.

ერთი რამ კი არ მოეწონა კახაბერს შაჰის საქციელში: დატყვევებული სვიმონი მეფური პატივისცემით ჩამოიყვანა ტფილისს, ხოლო აქედან ასეთივე პატივისცემით და მზრუნველობთ გაისტუმრა სპარსეთს....

...კახაბერმა მალე მშვიდობაც მოიპოვა და ძლიერებაც — ყველა ძრწოდა მის წინაშე, ყველა გაურბოდა, ყველა ნატრობდა მისი მზის დაბნელებას.

ქართველ ვაჟკაცებს არ ავიწყდებოდათ მისი „ღვაწლი“ სამშობლოს წინაშე.

საჩინო ბარათაშვილმა იდო თავს ყველას მაგივრად სამაგიეროს მიზღვევა, თუმცა ამის შესახებ ყორღანაშვილს არაფერი არა სმენოდა და ტფილისიდან გადახვეწილ ბარათაშვილთან მეგობრობის აღდგენასაც კი ლამობდა. მიუხედავად ამისა, მოუსყიდველი მამულიშვილის შიში გულში მაინც ფარულად ედო და თავს ყოველთვის ეუბნებოდა: „სიფრთხილე გმართებს, ყორღანაშვილო“.

ეხლაც ასე მოიქცა, იცნო თუ არა გზის პირად მიძინებული საჩინო, მის გამოღვიძებასა და გასაუბრებას ფეხაკრეფით ამ ადგილიდან გაპარვა ამჯობინა. ამ გადაწყვეტილებით განშორდა კიდეც საკმაო მანძილით სახიფათო ალაგს, მაგრამ მედიდურმა თავმოყვარეობამ შეურყეველმა რწმენამ, [illegible] ეგი ეხლა დაუთხანის საყვა-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რელი კაცი იყო, უკანვე დააბრუნა. შეავლო თუ არა ხულმეორედ თვალი მძინარეს, მწარე ღიმილი გაიკლაკნა მის თხელ და მოგრძო ტუჩებზე.

კაცი რომ დაუფიქრდეს, რისი უნდა ეშინოდეს კახაბერ ყორღანაშვილს, თუ დამარცხებული, ლაფში ამოსვრილი ყოფილი სპასალარი, რომელიც, მართალია, თავის დროზე ყოჩაღი სარდალი და მეომარი იყო, ეხლა აღარაფერს წარმოადგენს. ეხლა ეს კაცი, რომელსაც ტფილისის ახლოს გავლისაც კი ეშინია, ყორღანაშვილს რომ პირისპირ შეეყაროს, მუხლებზედაც დაიჩოქებს, ალბათ...

უსათუოდ დაიჩოქებს.

კახაბერმა როგორც იყო გული გაიმაგრა, ხმალსაც წაატანა ხელი, სარტყელი შეისწორა და დინჯი ნაბიჯით მიუახლოვდა მძინარე სპასალარს. სულ ახლოს მივიდა, დახედა. „მადლი კი იქნება, ამ ძილში თავი დავატოვებინო“.

კახაბერს ძალიან მოეწონა ეს აზრი, მაგრამ შესრულება ვერ გაბედა.

საჩინოსთან ისევ მორიგება და საქმის კეთილად დამთავრება სჯობდა. თუ ამ მსხვილფეხა მტერს მოიშინაურებს, წვრილფეხანი უთუოდ მას მიჰყვებიან უკან.

ვინ იცის, ძველი მეგობარია, არ შეიძლება არ გამოადგეს. ბოლოს და ბოლოს ამ კაცისათვის არაფერი ავი არ უქნია. მეფე მოსთხარა, მის ფესვებს საშველად ერთგული სპასალარიც მოებღაუჭა და.... გადაჰყვა...

ამ ფიქრებმა საბოლოოდ დაამშვიდეს სპასალარი. იგი შუაგზაზე გავიდა, მომავლის პოზა მიიღო და ხმამაღლა გასძახა:

— საჩინოს გაუმარჯოს!

მძინარემ მხარი იბრუნა, წამოიწია. ძილისაგან ბინდგადაკრული თვალები შეავლო მგზავრს, რომელიც შუაგზიდან აღარ იძვრებოდა.

უნდოდა სამაგიერო სალამი მიეცა და ძილი განეგრძო, მაგრამ საჩინომ... იცნო კახაბერი. წამოიჭრა. მიაშტერდა. რაკი მუდმივი ფიქრი კახაბერზე არ ასვენებდა და თვალწინაც სულ კახაბერი ედგა, ეგონა, ეხლაც უცნაურმა ხილვამ შემიპყროო. ყოყმანში ბარბაცებდა, კლდეს ზურგით ეკვროდა, თვალებს ისრესდა და ისევ გაოცებით მისჩერებოდა კახაბერს.

კახაბერმა ერთხელ კიდევ ამოიღო ხმა:

— ძილს მიჩვეულხარ, სპასალარო, კარგა ხანია სიწყნარე სუფევს ქართლსა ზედა — იმის ბრალი უნდა იყოს.

ჩაიცინა, მიუახლოვდა, ხელიც გაუწოდა:

— გაუმარჯოს საჩინოს!

საჩინოს მოთმინება აღარ ეყო, მიაყვირა:

— ყველა ქართველს გაუმარჯოს თავისი ერის მოღალატეზე!..

მისი ამოწვდილი ხმლის ელვარე ანარეკლმა ცივად მიანათა კახაბერს სახეში.

ყორღანაშვილი წამით დაიბნა. საჩინომ აცალა, სანამ გონს მოვიდოდა — სწამდა, რომ სიმართლე მის, საჩინოს, მხარეზე იყო და ბედი ამგვარი დაყოვნებისთვის არ უმტყუნებდა.

მართლაც, პირველსავე შემოკვრისთანავე კახაბერის ხმალი საჩინომ თავისი ხმლის ყუაზე გადაამსხვრია.

კახაბერი ერთხელ კიდევ დაიბნა. შიშისაგან ქვემო ტუჩი მოკვეთილივით ჩამოეკიდა. ეხლა კი მის გონზე მოსვლას აღარ დაუცადა ყოფილმა სპარსალარმა, ხელდახელ მიუვარდა, ატაცება დაუპირა, მაგრამ კახაბერიც ყოჩაღად დაუხვდა, თავის მხრივ საკმაოდ შეანჯღრია წელზე ხელებ-შემოსალტული მტერი, ფეხიც დაუდო, მაგრამ საჩინო მაინც გაუსხლტა, წამს ზურგიდან მოექცა, ხელი ნიკაპში ამოსდო და თავი დასაკლავ ხარივით გადაუღრიცა.

საჩინომ ერთხანს შეატყო, თითქოს სძლევდა კიდეც მას დაუთხანის ნასუფრალით მოღონიერებული კახაბერი. მაშინ გადასწყვიტა, მასთან ერთად ხრამში გადაჩეხილიყო და დაღუპულიყო, თუ სხვა რამ საშველი არ აღმოჩნდებოდა, და თუ რამე აჩერებდა ჯერ კიდევ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანისაგან, მხოლოდ შეგნება, რომ მათი გვამები სადღაც ხრამში ერთად უნდა გახრწნილიყვნენ, თუ მადლიერი ნადირის ყნოსვას გადაურჩებოდნენ უნებლიედ.

საჩინოს სახეზე აქა-იქ უკვე სისხლი სდიოდა.. მწარედ იკაწრებოდა კახაბერი. მგონი, ყურზედაც კი უკბინა. მაგრამ მოღალატესთან ბრძოლით გართულ საჩინოს არც კი უგრძვნია ტკივილი. ორივენი თავდახრილნი იბრძოდნენ. ეშინოდათ, რომელიმე მათგანს წელში არ მოევლო ხელები და არ გადაეჩეხა.

საჩინო უფრო ადრე დაიღალა. მთელი ძალღონე პირველ შებმას შეალია. მაგრამ რწმენა იმისა, რომ თუ ამ ნადირს დაამარცხებდა, ყველა ქართველი ვაჟკაცი დიდად მოიწონებდა მის საქციელს და ყველას დიდხანს ემახსოვრებოდა როგორც საჩინო ბარათაშვილი, ისე გელიყარა, მხნეობას მატებდა და კვლავ თავგამოდებით უტევდა კახაბერს.

ბოლოს, თითქო მოსწყინდათ ასე ბრძოლაო, ერთმანეთს ბრაზით ხელი ჰკრეს და მცირე მანძილით განშორდნენ ურთიერთს.

ორივე, თავდახრილი, მხრებ-ჩამოყრილი, მძიმედ სუნთქავდა.

კახაბერი ატყობდა, რომ საჩინოს ვაგლახად ვერ წაუვიდოდა, საჩინო კი ხედავდა, თუ ისევ ხელდახელ შებმას გაბედავდა, ადვილად შესაძლებელი იყო მოღალატეზე ადრე მას გაეზომა გელიყრის ხრამის სიმაღლე.

უნებურად ნაბიჯი გადადგა. კახაბერმა დაინახა თუ არა მისკენ დაძრული ბარათაშვილი, წუთით ირგვლივ მიმოიხედა. არც ხე, არც მოზრდილი ქვა. თოფი ხომ შორს გდია, ხმალი, მხოლოდ შუაზე გადამტვრეული ხმალი ეგდო ახლოს.

დაიხარა და იმ ხმალს სწვდა, მაგრამ საჩინომ დროზე მიუსწრო ნახტომით და ჯერ კიდევ წახრილს ორივე ხელი თავში ჰკრა. კახაბერმა მოასწრო გამართვა, მაგრამ ბარბაცით წავიდა კლდის ნაპირისაკენ, საიდანაც უფსკრული იწყებოდა. თავის შეკავებას კიდევ როგორმე მოახერხებდა, რომ ბარათაშვილი მეორედ და უკანაკნელად არ მივარდნოდა.

კახაბერმა ხმლის ნატეხი ჰაერში აისროლა, ხელების ქნევით ნელა გადიხარა და წონასწორობა დაკარგული თავდაყირა გადაეშვა უფსკრულში.

— ეჰ! — გაიმეორა უფსკრულმა მისი უკანასკნელი ამოკვნესა.

— მართლა ეჰ შენს საქმეს! — ჩასძახა ხრამის პირას მისულმა ბარათაშვილმა, რომელსაც უდიდესი სიხარულის და კმაყოფილების იერით გაბრწყინვებოდა დაკაწრული, დასისხლიანებული სახე.

— გელიყარა! — წაიჩურჩულა მცირე დუმილის შემდეგ გამარჯვებულმა და გზას გაუდგა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲝᲚᲪᲝᲕᲘ

ᲔᲡ�პᲐᲜᲣᲠᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

20 აგვისტო.

დილით ადრე დოლორესთან შევიარე, იქიდან ფუენკარალზე გავლით სიერა გვადარამისკენ წავედით. შესანიშნავი ავტოსტრადა მიემართება ხშირ ტყეში, ხოლო შემდეგ ქალაქგარეთ მდებარე ვილებს შორის. თითქმის განუწყვეტლივ ერთმანეთს სცვლიან პატარა კურორტები. აქ ისვენებდა მადრიდის სიცხისაგან დიდკაცობა და მდიდარი ბურჟუაზია. ახლა ყველაფერი დაუნგრევია არტილერიას, ხანძარს, ან კიდევ დაკეტილ-აჭედილი, გავერანებული და მიტოვებულია.

სერსედილია და გვადარამა უკანასკნელი დაბებია ფრონტის ხაზთან. აქ დანგრეულია შენობების სამი მეოთხედი. თითქმის ყველგან ნასახლარი და ნანგრევებია. აი ამ გადამწვარ სახლიდან გადარჩენილა მხოლოდ ერთი ქვითკირის კარი და მასზე ერთ ლურსმანზე ჰკიდია შებოლილი აბრა: „დაზღვეულია ცეცხლისაგან“. ჰყრია ტელეგრაფის ბოძები, მავთული, ცარიელი ვაზნები და ყუმბარის გილზები.

კლდეების, ხეობებისა და ტყის ამ რთულ დახვავებაში უკვე თვეა დაძაბული, შეუნელებელი ბრძოლა მიმდინარეობს. აქ ჯერ არც ერთხელ არ ყოფილა მყუდროება. ფაშისტები მოჯადოებულნი არიან დედა-ქალაქის სიახლოვით. სულ ორმოცდაათი კილომეტრია — ნაკლებიც. საკმარისია გაარღვიონ რკალი, ჩავიდნენ ქვევით, ქვაბურში, — და უკვე შეიძლება ყელში სწვდნენ მადრიდს, მთავრობას, რესპუბლიკას. რესპუბლიკელებს ესმით ეს. მათ ესმით, რა ძვირად შეიძლება დაუჯდეთ სულ უმნიშვნელო შეცდომა, უყურადღებობა.

---

1 ნაწყვეტები პირველი წიგნიდან.

ქვემეხები ორივე მხარეზე არც ისე ბევრია. მაგრამ მთის აკუსტიკა აასკეცებს ქვემეხების გრიალს ხეობებში, ჰქმნის ფანტასტიურ, მართლაც ჯოჯოხეთურ გრგვინვას.

ყოველ დღე დილიდან დაწყებული გვიან ღამემდე ადამიანთა პატარა ჯგუფები მიიპარებიან ფერდობებზე, მიხოხავენ კლდოვან ფერდობებზე, ცდილობენ შემოუარონ, გზა გადაუჭრან, დაუდარაჯონ ერთმანეთს, ხელში ჩაიგდონ კიდევ ერთი კლდე, კიდევ ერთი გორაკი, ცეცხლის ქვეშ დააყენონ კიდევ ერთი ხევი.

აქ ყველა იცნობს დოლორესს. შორიდან ესალმებიან, სთავაზობენ პურს, ღვინოს ჯარისკაცის მათარიდან, ემუდარებიან შეჩერდეს, ჩამოჯდეს, იქით აღარ წავიდეს. სიერაზე ყოველი ჯარისკაცი ამბობს — ვიცნობ დოლორესო.

დღეს აქ განსაკუთრებული გაცხოველებაა. რესპუბლიკელთა კოლონები ცდილობენ განავითარონ პოლკოვნიკ მანგადას ჯგუფის გუშინდელი წარმატება და უკუაგდონ მეამბოხენი მახლობელ მიჯნიდან. მტერი გააფთრებული უპასუხებს ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით — ყოველ წუთს გაისმის ტყვიისა და შრაპნელის ზუზუნი. ჯარისკაცები არწმუნებენ დოლორესს — ხოხვით იაროს. ის კი ხელს იქნევს და გადარბის, როგორც ყველა, წელში გამართული, ოდნავ თავდახრილი.

— რითი ვარ თქვენზე უარესი! კარგი, მეორედ ქოლგით მოვალ, მაშინ აღარ დამაწვეთავს თავზე.

იგი ყოველ დანგრეულ სახლში შედის, ყოველ ჯარისკაცსა და ოფიცერს ესაუბრება. დიდხანს გამოჰკითხავს ტყვეებს, გულდასმით გებულობს მათგან პატარა, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს მეამბოხეთა მდგომარეობის შესახებ. იგი ეჩხუბება მზარეულებს სადილების ხარისხის გამო. გაიგებს რა, რომ კოლონაში უკვე მეორე დღეა არ არის ბოსტნეული, იგი საველე ტელეფონით უკავშირდება რომელიღაც ორგანიზაციებს, შოულობს საბარგულს ნესვისა და ტომატისათვის.

პატარა ვილაში მოთავსებულია გვადარამის სექტორის შტაბი. ამჟამად ფაშისტებმა მიზანში ამოიღეს ეს სახლი და ბაღი და ტყვიამფრქვევებს უშენენ. უბნის მეთაური, პოლკოვნიკი ასენსიო, ოპერის ტიპის ლამაზი მამაკაცი, გვიკრძალავს გამოსვლას, ვიდრე სროლა არ შენელდება. ხარშავენ ყავას. დოლორესი ესაუბრება კასარეს კიროგას, გამხდარ, გრძელ-სახიან კაცს, რომელსაც მონო და ხამლი აცვია. იგი მთავრობის მეთაური იყო ამბოხების მოშენტში, დაბნეულობა და უმოქმედობა გამოიჩინა, გადადგა საყო-

ველთაო უკმაყოფილების გამო და ახლა ფრონტზე ცდილობს მოინანიოს ცოდვები.

მოგვბეზრდა ცდა, დოლორესს უნდა წავიდეს წინ, იქ, სადაც ჩასაფრებულია საყარაულო დაცვა. ყველა იშმუშნება და ცდილობს დაუშალოს. დოლორესი გაახსენებს, რომ იქ მებრძოლებთან უკვე ოთხი დღეღამეა არავინ არ ყოფილა, სანოვაგით დატვირთულ ვირებს გარდა. მაიორი რისტორი, მხიარული, ჩასუქებულ კაცი, კოჭლი და რატომღაც სრულ საპარადო ფორმაში გამოწყობილი, კისრულობს ჩვენთან წამოსვლას.

მივდივართ, გადავრბივართ. მოკლე რისტორი მობაჯბაჯებს ჯოხით, ოფლში იწურება. გზის ერთი კილომეტრის და ბილიკის ორასი მეტრის გავლის შემდეგ, ხოხვით უნდა ვიაროთ მზისაგან გავარვარებულ ქვებზე, მჩხვლეტავ ასკილში. დოლორესი მგრძნობიარედ, ქალურად წაიბორძიკებს, როდესაც ტყვია ქვაზე დაიჩრიღლებს. რისტორი ნაღვლიანად შეჰყურებს.

ოცეული კლდის ნატეხებს ქვეშ მოწყობილა. იქიდან ღია გასასვლელი გაუყვანია ბლინდაჟისკენ. ბლინდაჟი მოწყობილია წვრილი ქვითა და ქვიშით სავსე ტომრებისაგან. გასასვლელის თავსა და ბოლოში ჯარისკაცებს გაუკეთებიათ სახუმარო წარწერები: „მეტრო მადრიდი — სარაგოსა“.

ჯარისკაცები და მეთაურები აღფრთოვანებულნი არიან დოლორესის მისვლით.

— როგორ მოაღწიე აქამდე? აქ ხომ მამაკაცებიც მხოლოდ ღამით მოდიან! აი ქალი — ტყუილად კი არ დაგარქვეს შმაგი!

მივცოცდით ბლინდაჟთან. აქედან ნათლად მოსჩანს მეამბოხეთა ბლინდაჟები — რაღაც ორასიოდე ნაბიჯია.

მთელი ოცეული ამ პატარა ბუნაგშია თავმოყრილი. მებრძოლნი ყოველი მხრიდან ეხვევიან დოლორესს — მზისაგან დამწვარნი, წვერგაბარდულნი, ნაწილობრივ ჭრილობა-შეხვეულნი. სწეწავენ დოლორეს, ეძახიან ერთსა და იმავე დროს ყოველი მხრიდან.

— დოლორეს, დალიე ჩემი ტოლჩიდან!

— არა, ჩემიდან!

— დოლორეს, წაუღე წერილი დედა-ჩემს.

— დოლორეს, დახედე ჩემს ჭრილობებს, თითქმის შემიხორცდა ოთხ დღეში.

— დოლორეს, გაძლევ სახსოვრად ჩემს შარფს. იცოდე, არ გადააგდო!

— დოლორეს, გამოსცადე ჩემი ტყვიამფრქვევი, შესანიშნავი მანქანაა!

და დოლორესი სვამს ტოლჩიდან, ართმევს წერილებს, ეხება ჭრილობებს, იხვევს ჯარისკაცის შარფს და იცქირება ჯიბის სარკეში, მიადებს ჭაღარა თავს ტყვიამფრქვევს და ისვრის.

ფაშისტები ხშირი, გააფთრებული ცეცხლით უპასუხებენ. მათ დიდი ხანია არ მოსწონთ ფაცა-ფუცი და გაცხოველება ბლინდაჟში.

— აი, ხედავ, დოლორეს, სახიფათო საქმეში ჩაგაბით.

— პირიქით, მე დაგატეხეთ ეს კოკისპირული წვიმა.

მჭიდროდ შეჯგუფებული ჯარისკაცები ისმენენ დოლორესის ნაწყვეტ სიტყვებს:

— მეც ხომ თქვენსავით უბრალო ესპანელი ვარ, არა კეთილშობილთა რიცხვიდან. ჭურჭლის მრეცხავად ვიყავი მაღაროში. ჩემი ქმარიც მუშა-მემაღაროეა... მაგრამ ჩვენ ყველანი, უბრალო ხალხი, მუშები, ბოლომდე ვიბრძოლებთ თავისუფალი, ბედნიერი სახალხო ესპანეთისათვის, გენერლებისა და იეზუიტების ფაშისტური ხროვის წინააღმდეგ... თქვენ მამაცი ბიჭები ხართ, ვიცი, მაგრამ მარტო სიმამაცე არა კმარა.... საჭიროა ნათლად გესმოდეს, ვის წინააღმდეგ იბრძვი, ვის ესვრი... ჩვენ ვესვრით ჩვენს წყეულ წარსულს, ბურბონებისა და პრიმო დე რივერას ესპანეთს, რომელიც დაბრუნებას და ჩვენს დახრჩობას ცდილობს. მტერი ნუ გვთხოვს შებრალებას... ჩვენ ვართ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მსოფლიო ავანგარდი, ჩვენს გამარჯვებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩვენ მხარს გვიჭერს მთელი მსოფლიოს დემოკრატია... რუსი მუშები გვიჭერენ მხარს. მათ უკვე გამოგვიგზავნეს ფული, გამოგვიგზავნიან სხვა რამესაც, რაც ჩვენთვის საჭირო იქნება... აი ჩვენთან არის რუსი ამხანაგი, იგი ჩვენთან ავიონით მოფრინდა.... მაგრამ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენივე იმედი უნდა გვქონდეს, ჩვენი იარაღისა, ჩვენი სიმამაცისა... ვერასოდეს ვერავინ ბოლომდე ვერ შესძლო იმ ხალხის დამარცხება, რომელიც თავისი თავისუფლებისათვის იბრძვის. შეიძლება ესპანეთი ნანგრევების გროვად აქციონ, მაგრამ ვერასოდეს ვერ გადააქცევენ ესპანელებს მონებად... თქვენ ამბობთ, ცოტა ყუმბარები გვაქვსო, მაგრამ რითი იბრძოდნენ რუსი მუშები. და გლეხები თავიანთი ფაშისტებისა და უცხოელი დამპყრობელების წინააღმდეგ? ისინი სტაცებდნენ ვაზნებსა და ყუმბარებს მოწინააღმდეგეს... დიდი დრო არ გავა და ჩვენი საქმე გაიმარჯვებს. დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა იფრიალებს მთელს გვადარამაზე, კორდოვის მინარეთებზე, სევილიის კოშკებზე.

მცირე პაუზის შემდეგ დოლორესი ეშმაკურად იკოხტავებს თავს და წინადადებას იძლევა:

— თუ გინდათ დიდი პატივი დამდოთ, უწოდეთ ჩემი სახელი თქვენ პოლკს.

მებრძოლები თანახმანი არიან:

— რა თქმა უნდა... თუ არ გეშინია, რომ შეგარცხვენთ.

მეამბოხენი კვლავ ვარჯიშობენ სანგარზე, დოლორესი კი შოუთხრობს ჯარისკაცებს, რა წარმატებას მიაღწიეს ომში მონაწილე ესპანელმა ქალებმა, როგორ ეხმარებიან ისინი მამაკაცებს ზურგში.

იგი მთლად ინთება, როდესაც გადადის საყვარელ თემაზე — ქალზე, ოჯახზე და ბავშვზე საბჭოთა კავშირში.

— დოლორეს, ბავშვები გყვანან?

— რასაკვირველია. შეგიძლიათ შემომნატროთ: მყავს ქალიშვილი ივანოვოში, — ეს საბჭოთა საფეიქრო ქალაქია, ჩვენი საბადელის მსგავსი. ვაჟი კი მოსკოვშია, სტალინის სახელობის ქარხანაში. იგი მხოლოდ თექვსმეტი წლისაა, მაგრამ სიმაღლე ერთი მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრი აქვს. წარმოიდგინეთ, მალე აქ გაჩნდება და მეტყვის: აბა, მოდი, ხელში აგიყვანო, ჩემო პატარა დედიკო.

ყველა დიდხანს იცინის. დოლორესი კი ათვალიერებს ოცეულს ზრუნვითა და სიყვარულით.

მებრძოლნი თაიგულს აძლევენ დოლორეს. ეს ყვავილები მალაზიიდან როდია. ისინი მოკრეფილია კლდეების ფერდობებზე, ფაშისტების ცეცხლქვეშ.

სიბნელეში მივაღწიეთ შტაბს, მაგრამ უკვე არა სამმა, არამედ სხვების მზრუნველი თანხლებით. სერსედილიას იქით, სახლების ჯგუფთან, უცბად გაისროლეს. მოისმა არაადამიანური, გულსაკლავი კივილი დ ფაცი-ფუცი. გავაჩერეთ მანქანა, წავედი ამბის გასაგებად. თურმე ჯარისკაცს ხელი შაშხანას ლულაზე ხდებია, ჩასძინებია, შაშხანა გავარდნილა და ხელისგული დაუჭრია. როგორც იყო შევუხვიეთ, თან წავიყვანეთ ესკურიალის საავადმყოფოში მოსათავსებლად. ზორბა ვაჟკაცი მთელის ხმით მოსთქვამს. დოლორესი მოთმინებით ამშვიდებს.

— აბა, ტუტუცო, რასა ყვირი? ხომ ცოცხალი ხარ. არც ისე ძალიან გტკივა. შეგშინებია ძილში. მეც ძალიან მეშინია ძილში. ნემსიც რომ მიჩხვლიტონ ძილში, მეგონება, ყელი გამომჭრესო. გასაგებია. იქნება პაპიროსის მოწევა გინდა: ახლავე მოგცემენ.

„ჰო, პაპიროსი უნდა. მაგრამ მოწევა და ბღავილი ერთსადაიმავე დროს მოუხერხებელია. არა, არა სურს წევა. რატომ ამდენხანს არა სჩანს საავადმყოფო? დოლორესი ამშვიდებს:

— ახლავე მივალთ. ნელა მივდივართ, რადგან სინათლეს არ ვანთებთ, რომ მანქანას სროლა არ დაუწყონ. ან კი რა გვაქვს საჩქარო. ხელს შეგიხვევენ და ანგელოზივით დაიძინებ.

როდესაც დაჭრილი საავადმყოფოს გადასცა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად უბრძანა შოფერს:

— სწრაფად მადრიდში, ცენტრალურ კომიტეტში! ვიგვიანებთ ხდომაზე. აანთე სინათლე, შეუძლებელია ასე ფოფხვით სიარული.

22 აგვისტო.

დიდ სახლში სერანოს ქუჩაზე წინათ მოთავსებული იყო ხილ რობლესის კათოლიკური ფაშისტური პარტიის ნაციონალური საბჭო. სახლი სავსებით ხელუხლებელია, სკამებს დარბაზში ჯერ კიდევ შალითები აფარიათ, მარმარილოს კიბის მოედანზე მორიგეობს თოფიანი კაცი. კაბინეტში, რობლესის მაგიდასთან, ქაღალდებსა და გაზეთებზე თავდახრილი, ზის ხოზე დიასი. მისი გრძელი, შავგრემანი ჩაფიქრებული სახე ბევრად უფრო ხნიერად გამოიყურება დაღლილობისა და ავადმყოფობისაგან. დღისით იგი მარტო მუშაობს, მდივანთან ერთად ღებულობს დელეგატებს პროვინციებიდან, ფრონტებიდან, წარმოებებიდან. დროგამოშვებით მუსიკით, დაფებით სახლთან მიდიან დემონსტრაციები—ფრონტზე მიმავალი კოლონები. ისინი მოითხოვენ, აჩვენონ პეპე (ხოზე). იგი უბრალოდ გამოდის აივანზე და უცებ იღიმება ახალგაზრდა, გამომწვევი, ყოვლისმძლეველი ღიმილით, რისაგანაც ყველას რწმენითა და სიხარულით ევსება გული.

საღამოთი, შვიდი საათისთვის, სხვადასხვა ადგილიდან თავს იყრიან პოლიტბიუროს წევრები. ყველანი პეპეს კაბინეტში სხედან, უზიარებენ ერთმანეთს დღის ახალ ამბებს, ერთად კითხულობენ საღამოს გაზეთებს, არჩევენ და სწყვეტენ საკითხებს. მეზობელ ოთახში ისინი ერთად ვახშმობენ, ყოველთვის ეპატიჟებიან მაგიდაზე ჩამოსულებს ან ვინმეს მეთაურთაგან. შემდეგ განაგრძობენ მუშაობას გვიან ღამემდე, როდესაც ძალით გზავნიან ერთმანეთს ხილ რობლესის სალონში. იქ, რბილ ავეჯს შორის, დგას ჯარისკაცის ოთხი ვიწრო საწოლი ხანმოკლე ძილისათვის.

ესპანეთის პარტიის ხელმძღვანელობა ახალგაზრდაა, როგორც თვითონ პარტია, რომელიც ახლახან გადაიქცა მასობრივ პროლეტარულ პარტიად. პარტია ჩამოყალიბდა გზადაგზა, ფაშიზმთან ბრძოლაში, ბრძოლაში ტროცკისტულ ხროვასთან, რომელიც აქ ერთ დროს ტონს იძლეოდა, ანარქისტული თავაშვებულობის მატარებლებთან და სექტანტურ ილუზიებთან ბრძოლაში. ახალი პოლიტ-

ბიურო შესდგება მთლად პროლეტარებისაგან, ნაცად რევოლუციონერებისაგან, რომელნიც დიდის პოპულარობით სარგებლობენ მუშათა მასებში, საუცხოო პროპაგანდისტებისა და ორატორებისაგან. ამასთან აქ, ამ ერთ მუჭა ხალხში წარმოდგენილია სხვადასხვა ხასიათი და ტემპერამენტი, სხვადასხვა ინდივიდუალობა, ესპანეთის სხვადასხვა კუთხის ხალხური ტიპები.

ვისენტე ურიბე, პატარა ტანის მუშა-კალატოზი, ბასკია. იგი კარგად ნაკითხია, ბევრს მუშაობდა პროლეტარული რევოლუციის თეორიისა და ესპანეთის ეკონომიკის საკითხებზე, განსაკუთრებით აგრარულ პრობლემაზე. ურთიერთობაში სიჩუმის მოყვარულია, ოდნავ მშრალი, ზოგჯერ მენტორულად ზვიადიც. ამასთან იგი დაკვირვებული ორგანიზატორია, გაბედული და მტკიცე ადამიანი, კარგი ამხანაგი. ჩემს მიმართ მან ერთბაშად დიდი საქმიანი ყურადღება გამოიჩინა. დახარჯა დრო, რათა დავეკმაყოფილებინე ადამიანებთან, ორგანიზაციებთან, საწარმოებთან, აგროვებს ცნობებს, ფაქტებს, ციფრებს... ამჟამად იგი კავშირისათვის წარგზავნილია სამხედრო სამინისტროში.

ხესუს ერნანდესი მაღალი, მხარბეჭიანი ვაჟკაცია, მებრძოლი შეხედულებისა, ქილვაშებით, როგორსაც ტორეროები ატარებენ. უადგილოა ამ სახეზე სათვალები, მაგრამ სათვალეებშიაც იგი, ეტყობა, ყოველთვის მზად არის საფუძვლიანად წაუთაქოს ყველას, ვინც მოისურვებს თავზე მოახვიოს თავისი წესები მადრიდის რომელიმე მუშურ გარეუბანს. აცვია ლურჯი მონოსი, არტყია ჯარისკაცის სარტყელი რევოლვერით, სახელოები შეკეცილი აქვს იდაყვს ზემოთ. იგი საუკეთესო მასობრივი მომუშავეა, ორატორი, მჭუხარე ხმის პატრონი. პოპულარული ჟურნალისტი და „მუნდო ობრერო“-ს დირექტორია (რედაქტორი).

პედრო რეკა, თხელი, ძალზე გამხდარი, მეტად ფერმკრთალი, ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანია, მისი შეუჩერებლად მომქმედი საორგანიზაციო ხრახნი. რობლესისეულ სახლში მას აქვს პატარა ოთახი მემანქანეთა და მოანგარიშეთა გვერდით. ამ ოთახში განუწყვეტელი მუშაობაა დღეღამის განმავლობაში, იქ სწყდება ყველაფერი: კავშირი მადრიდსა და საოლქო ორგანიზაციებთან სამხედრო საქმეები, ავტომობილების რემონტი, მანდატებისა და მოწმობების გაცემა, პროვოკატორებთან ანგარიშის გასწორება, ფურცლების ბეჭდვა, პარტიის წევრთა მიღება და გარიცხვა, კრებებისა და მიტინგების მოწვევა. ყოველთვის დაღლილი და ყოველთვის დაუღალავი, ნელი ხმით ოდნავი ღიმილით იძლევა პედრო

რეკა დავალებებსა და განკარგულებებს მთელი ღამის განმავლობაში.

ანტონიო მიხე, მხიარული, მრგვალსახიანი ანდალუზიელი, მოდის ყოველთვის პატარა პორთფელით, ყოველთვის დაგვიანებით, ისე რომ ყოველგვარი სხდომა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს მიხე, იწყება საყოველთაო უკმაყოფილებით მისი დაგვიანების გამო. მაგრამ მოსვლისთანავე, დაამშვიდებს რა კრებას მნიშვნელოვანი და საინტერესო ახალი ამბებით, იგი იპყრობს საყოველთაო ყურადღებას, აკეთებს მოხსენებას ყველაფერზე დაწვრილებით და აზრიანად. პარტია იყენებს მას პროფკავშირულ, სამეურნეო საკითხებზე. იგი პარტიის უცვლელი წარმომადგენელია ყველა მოლაპარაკებაში, საკონტაქტო კომიტეტებში, სამხედრო-სამრეწველო თათბირზე.

დოლორესის დასწრება განსაკუთრებულ ელფერს აძლევს პარტიული ხელმძღვანელობის წრეს. მას პოლიტბიუროს მამაკაცურ, მკაცრ, ზოგჯერ ხაზგასმით საქმიან ატმოსფერაში შეაქვს სითბო, გულმხიარულობა, ჰუმორი ან აღგზნებული გულისწყრომა, გააფთრება, განსაკუთრებული შეურიგებლობა კომპრომისებთან. იგი მოდის საზეიმოდ განწყობილი, მხიარული, ეშმაკური ღიმილით, მორთული, მიუხედავად თავისი ყოველთვის შავი კაბის უბრალოებისა, ჯდება, აწყობს ხელებს მაგიდაზე, ოდნავ ხრის დიდ ლამაზ თავს და ჩუმად უსმენს ლაპარაკს. ან კიდევ უზომოდ დაღლილი, რითიმე დამწუხრებული, ნაწყენი, გაქვავებული, დაბერებული სახით, იგი მძიმედ ეშვება სკამზე კარებთან, კუთხეში, და კვლავ სდუმს. მერე უცებ შეიჭრება სხვის სიტყვაში, და მაშინ უნაყოფოა შეწყვეტა, ვიდრე არ გადმოიღვრება მთლიანი, გრძელი, სულმოუთქმელი ტირადა — მხიარული, სასაცილო, გონებამახვილი, მოზეიმე ან მოღუშული, მრისხანე, თითქმის მოქვითინე, აღსავსე დამწუხრებული საყვედურებით, ბრალდებებით, პროტესტებითა და მუქარით. მორიგი აშკარა ან ფარული მტრის წინააღმდეგ, ბიუროკრატის, მესაბოტაჟეს წინააღმდეგ, რომელმაც ჩაშალა იარაღის ან საკვების მიწოდება მილიციელთათვის, აწყენინა მუშებს, ეწევა ინტრიგებს პარტიის წინააღმდეგ ან მის შიგნით.

ხოზეს პოლიტბიუროს წევრთა შორის, ისევე, როგორც მთელს პარტიაში, აქვს რაღაც არაჩვეულებრივად ბუნებრივი, ორგანული ავტორიტეტი, განსაკუთრებით ხაზგასმული მისი ამდენივე არაჩვეულებრივი უბრალოებით. სხდომების დროს, მეტად გაცხოველებული სხდომის დროსაც კი, იგი ძალზე ცოტას ლაპარაკობს, თითქოს ერიდება კიდეც გამოსვლას, გარდა იმ შემთხვევებისა,

როდესაც სწორი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია მის ჩაურევლად.

გულუბრყვილობა იქნება ჩავთვალოთ მისი უბრალოება და გულკეთილობა უწყინარობად: სრულიად მშვიდობიანი ლაპარაკის მსვლელობაში იგი უცბად ჩაურთავს ხოლმე ვისიმეს ძუნწ დახასიათებას, მოკლეს და მომაკვდინებელს, ისეთს, როგორიცაა მახვილის ჩაცემა. მისი ზრდილობიანად გამოთქმული საყვედურისგანაც კი ადამიანები ფითრდებიან, იბნევიან, მიდიან ბევრად უფრო დაძმარებულნი, ვიდრე გრძელი, მყვირალა, ლანძღვა-გინების შემდეგ, რაც ასე ხშირია ესპანეთში საქმიანი ურთიერთობის დროსაც კი.

ყველას უნდა გააკეთოს პეპე დიასისათვის რაიმე სასიამოვნო, არა იმიტომ, რომ დაიმსახუროს მისი მადლობა, არამედ უბრალოდ, რომ გაახაროს იგი, დაინახოს მისი ღიმილი, თუნდაც თავის კმაყოფილებით ჩაქნევა...

ზოგჯერ საუბრის ან გახურებული სხდომის დროს, მას მოერევა საშინელი დაღლილობა, — ან იქნება ეს მისი ავადმყოფობის შეტევაა. მაშინ იგი უცნაურად იქცევა: გადის კაბინეტიდან, დასეირნობს მარტო კორიდორებში, შედის კანცელარიაში, ცარიელ არქივში, ათვალიერებს გაზეთების შეკრულ დასტებს, იატაკზე დაყრილ ნამწვავებს, ჩადის კიბეზე ეზოში, უყურებს, როგორ სწმენდენ კართოფილს, გადის ჭიშკარში, შესავალთან, და დგას თხუთმეტ წუთს შოფერებსა და მანქანებს შორის. ამხანაგები თავს იკატუნებენ, თითქოს ვერ ამჩნევენ, აკეთებენ თავიანთ საქმეს. დასძლევს რა ტკივილს, იგი ბრუნდება კაბინეტში და უერთდება ლაპარაკს.

ყურადღებით ჩუმად ისმენენ ტროცკისტ-ზინოვიეველ ტერორისტთა პროცესის ანგარიშს, რომელსაც ხესუს ერნანდესი დინჯად კითხულობს „ფაბრის“ სატელეგრაფო სააგენტოს ბიულეტენების მიხედვით. ადგილები კამენევის დაკითხვიდან აღშფოთებას იწვევენ. დოლორესი მაგიდიდან დგება და იძახის: „ჩვენ კი აქ მათ ვებოდიშებით!“ ურიბე ნელა ამბობს: „სახრჩობელაზე!“ დიასი, მაგიდაზე წახრილი, თავით ხელებზე დაყრდნობილი, მოითხოვს განაგრძონ კითხვა. ხესუსი ამთავრებს ბიულეტენის კითხვას და გამაყრუებელი ხმით იწყებს ზინოვიევის ბანდის განადგურებას. დიასი აწყვეტინებს:

— აი, სწორედ ეგ, ლაპარაკის ნაცვლად, დასწერე, მაშინ მარტო ჩვენ როდი მოვისმენთ. ნუ დაგავიწყდება ჩვენი საკუთარი ტკივილებიც...

17 ოქტომბერი.

ცენტრალურ კომიტეტში მისვლისთანავე ისე დამიწყეს ხვევნა, რომ კინალამ დამახრჩეს. პედრო ჩეკამ, ყველაზე თავდაჭერილმა, წამოიძახა: „ასეთ სიხარულს არ მოველოდით!" ეს უკვე მეტის-მეტი იყო... მაგრამ, როდესაც ხოსე დიასმა გაბრწყინებული თვალებით დასძინა: „ჩვენთვის საშიში არაფერია ქვეყანაზე"-ო, მივხვდი, რომ სიხარული სრულიადაც არ იყო გამოწვეული ჩემი მისვლით.

აღმოჩნდა, რომ გუშინ დიასის სახელზე მიულიათ დეპეშა სტალინისაგან, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმების საპასუხოდ.

აი დეპეშა:

„მადრიდი.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს — ამხანაგ ხოზე დიასს.

საბჭოთა კავშირის მშრომელები მხოლოდ თავიანთ მოვალეობას იხდიან, როცა შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევენ ესპანეთის რევოლუციურ მასებს. ისინი ანგარიშს აძლევენ თავიანთ თავს იმაში, რომ ესპანეთის განთავისუფლება ფაშისტ რეაქციონერთა ჩაგვრისაგან არ არის ესპანელთა კერძო საქმე, არამედ მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის საერთო საქმეა.

ძმური სალამი!

ი. სტალინი".

იგი უკვე გამოქვეყნდა გუშინ საღამოს „მუნდო ობრერო"-ში და დღეს დილით გამოქვეყნებულია მადრიდის ყველა გაზეთში. მან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. პარტიის ხელმძღვანელობას ულოცავენ.

ც. კ.-ის წევრები უპასუხებენ ყველას, რომ ეს დეპეშა შინაარსითაც და თავისი აზრითაც მიმართულია მთელი ესპანეთის ხალხისადმი, ფაშიზმის წინააღმდეგ ყველა მებრძოლისადმი.

ძნელია გაიხსენო სხვა მომენტი, როდესაც ხალხი, მთავრობა, ჯარი ასე საჭიროებდნენ გამხნევების ამ სიტყვას. ატმოსფერა შეიკუმშა იმდენად არა სამხედრო მარცხების გამო, რამდენადაც იმის გამო, რომ ცნობები საზღვარგარეთიდან ცხადჰყოფდნენ რესპუბლიკური ესპანეთის თითქმის სრულ იზოლაციას.

ხალხმა ღრმა მარტოობაში იგრძნო თავი, ამან დააღონა იგი, სიმწარით აღავსო.

და ასეთ მომენტში, მტკიცე მეგობრობითა და გამხნევებით აღსავსე სიტყვები, მაგარი ვაჟკაცური ხელის ჩამორთმევა, იმ ხელისა, რომელსაც უჭირავს მძლავრი საბჭოთა ხომალდის საჭე!

მთელი დანარჩენი დღე ქალაქში სიარულს მოვანდომე, ვიყავი ქარხნებში, მეხუთე პოლკში, მწერალთა „ალიანსში", ანარქისტებთან, სოციალისტურ პროფკავშირებში. სტალინის დეპეშა ლაპარაკის საერთო თემაა, ყველგან ადგენენ საპასუხო დეპეშებს, წერილებს, რეზოლუციებს, მისალმებებს, მადლობას.

მეტროსა და ტრამვაის მუშებს გასაჩერებლებზე და ვაგონებზე სტალინის პორტრეტები გამოუფენიათ.

და თვითონ მეც, დავდიოდი რა მადრიდის შეშფოთებულ ქუჩებში, უფრო მეტად დაკავშირებულად ვიგრძენი თავი ამ ხალხის ბრძოლასთან, ვიგრძენი თავი წვეთად თანაგრძნობისა და სოლიდარობის იმ ტალღისა, რომელმაც მოაღწია აქ შორიდან, ჩემი მშობლიური ხალხისაგან, ჩემი მშობლიური სტალინისაგან.

...მთავრობის გადაწყვეტილებით და სამხედრო მინისტრის ბრძანებით, შექმნილია არმიის კომისართა ინსტიტუტი, რომლის სათავეში იქნება გენერალური სამხედრო კომისარიატი. გენერალურ კომისრად დაინიშნა ხულიო ალვარეს დელ ვაიო. მის მოადგილეებად — კრესენსიანო ბილბაო (სოციალისტი), ანტონიო მიხე (კომუნისტი), ანხელ პესტანია (სინდიკალისტი), როლდანი (ანარქისტი), პრეტელი (სოციალისტი, მუშათა საყოველთაო კავშირის მეორე მდივანი).

კომისარიატის მიზანია: „გაუწიოს სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის კონტროლი ჯარისკაცებს, მილიციის მოლაშქრეებს და რესპუბლიკის სამსახურში მყოფ სხვა შეიარაღებულ ძალებს მიაღწიოს კოორდინაციას სამხედრო სარდლობასა და მებრძოლ მასებს შორის, რაც მიმართული იქნება აღნიშნული ძალების შესაძლებლობათა უკეთ გამოყენებისაკენ".

18 ოქტომბერი.

აი როგორ გამოიყურებოდა ახალი ფილმის პრემიერა 1936 წლის ოქტომბერს მადრიდში:

„კაპიტალის" ფრონტონზე შუქსხივიანი წარწერაა: „განათლების სამინისტრო, კულტურული პროპაგანდის განყოფილება". შესავალში გავლა შეუძლებელია. ხალხის გროვაში უმწეოდ გაჭედილან ათეული ავტომობილები. ფარნის ბოძებზე ამთავრებენ აჭრელებული პლაკატების გაკვრას. დროგამოშვებით მუსიკა შეხვედრას უკრავს. მისალმების შეძახილები და ტაში გრიალებს კალია-

ოს მოედანზე. ხალხმა მიიწ-მოიწია და ვზას მისცა მთავრობის წევრებს, რესპუბლიკური პარტიების ლიდერებს, პოპულარულ დეპუტატებს.

— ვივა ასანია!.. ვივა პრიეტო!.. ვივა დოლორეს!.. ვივა რუსია!..

ახალგაზრდა მინისტრი ხესუს ერნანდესი, ახლა უკვე პიჯაკით და ყელსახვევიანი პერანგით, მასპინძლის როლში უხვდება სტუმრებს ვესტიბულში. განათლების სამინისტრომვე იკისრა პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობის ფუნქციები ფრონტზე და ზურგში.

პატარა ფოიეში, დირექტორის ლოჟის უკან, მანუელ ასანია ესაუბრება ხირალს და ბასკ მინისტრს ირუხოს. შემდეგ ჩუმდება და ეძლევა თავის ფიქრებს.

ამ თვეებმა იგი საგრძნობლად დააბერეს. უფრო მკვეთრი, წაწვეტებული გახდა მისი მორგვალებული, რბილი, ოდნავ ქალური სახის ნაკვეთები... ასანიამ, ანტიმილიტარისტმა, რესპუბლიკის პირველ სამხედრო მინისტრად გახდომისას, შეამცირა არმია და თავისი ცნობილი დეკრეტით დაითხოვა რვა ათასი ოფიცერი. გარედანაო, — მსჯელობდა ასანია, — ესპანეთს არაფერი არ ემუქრება. ჩვენი ქვეყნის შიგნით კი ოფიცერთა უზარმაზარი ხროვა ნთქავს სახელმწიფო ბიუჯეტს და ამასთან მუდმივად რჩება მონარქისტული რესტავრაციის ბაზად. ასანია მართალი იყო, მაგრამ მან საქმე ბოლომდე არ მიიყვანა. რეაქციამ სწრაფად წამოჰყო თავი აპრილის რესპუბლიკაში... ასანიამ და მისმა მეგობრებმა, რომელნიც ძალაუფლებას ჩამოაშორეს, გარდაქმნეს თავიანთი პარტია, დაუახლოვდნენ ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას, საშუალო გლეხობას. მაგრამ ახლა სხვაგვარად შეტრიალდა ესპანეთისათვის ომისა და მშვიდობიანობის საკითხები.

პრეზიდენტი და მინისტრები ლოჟაში შედიან. უზარმაზარი ამფითეატრი ოვაციას უმართავს მათ.

ნელა ჰქრება სინათლე. სიმფონიური ორკესტრი სევდიან პრელუდიას უკრავს. შემდეგ ფარდა გადაიშლება, და აუჩქარებლად მიცურავენ ფილმის პირველი სცენები. განათლების სამინისტრომ ეს კინო-პიესა მიუძღვნა იმ ესპანელ მეზღვაურთა ხსოვნას, რომელნიც დაიღუპნენ სამშობლოსა და რესპუბლიკისათვის. ფილმში ნაჩვენები არიან მეზღვაურები. მაგრამ ზღვა, პეიზაჟი ესპანური როდია. მოტორიანი ნავი მიაქროლებს ჭალარა კაცს დედა-ქალაქის სანაპიროდან ბალტიის ზღვის მკაცრ სივრცისკენ. როგორ შეხვდებიან მას იქ, კუნძულ-სიმაგრეზე, მეზღვაურთა რევოლუციურ, მაგრამ ჯერ კიდევ არაორგანიზებულ წრეში?

შემოდგომის ქარი მძვინვარებს ბალტიკაზე. მტაცებლების ხროვა თავს იყრის, რათა სჯიჯგნოს დიდი და, როგორც მათ ჰგონიათ, მომაკვდავი ქალაქი. უნდა მოიკრიბონ მთელი ძალა მის დასაცავად, წაიყვანონ ბრძოლაში ყველა მებრძოლი, უკანასკნელამდე. წაყვანა კი არც ისე ადვილია. მათ დაივიწყეს დისციპლინა, ემდურებიან სიძნელეებს, ხმაურობენ, ერთობიან.

მოხულიგნო ძმაბიჭები ჩასცივებიან ახალგაზრდა მწუხარე ქალს, უკმეხად უყვირიან:

— სინიორიტა!..

წითელარმიელები დაიხსნიან ქალს. ეს აღუძრავს თავგასულ ანარქისტ მეზღვაურს გაბოროტებას უბრალო და დისციპლინირებული ქვეითი ჯარის წინააღმდეგ.

კომისარი თამამად შეიჭრება მეზღვაურთა შუაგულში. უფორმო, აბობოქრებულ, მაგრამ რევოლუციურად და კლასობრივად გულხმიერ მასისაგან იგი ჰქმნის მებრძოლ რაზმს, რომელიც მამაცურად ებრძვის თეთრებს. გუშინდელი ხულიგანი და დეზორგანიზატორი მონაწილეობას იღებს ამ ბრძოლაში, იგი გარდაიქმნება... აი რუსი ფაშისტები გარს ერტყმიან მეზღვაურებს ორი მხრიდან. აი დასჯის შემაძრწუნებელი სცენა...

აქ პირველად უყურებენ ვიშნევსკის ფილმს და მერე როგორ უყურებენ!

იგრძნობა, როგორ ადევნებს თვალს დარბაზი კრონშტადტის დრამას. ნახევარ სიბნელეში მოსჩანს, როგორ განიცდის იგი ამ დრამას... აგერ ახალგაზრდა მხედრების გადიდებული თვალები. ლოჟის მოაჯირს იქით მოსჩანს პრეზიდენტის ჩაფიქრებული პროფილი. სად არის სამხედრო მინისტრი, სად არიან დანარჩენები? ხესუსი სალონში გადის და აღელვებული ბრუნდება.

— ცუდი ამბებია. ილესკასი აღებულია! ჯარი უკან იხევს. მგონი, სესენიაც აღებულია.

მეზობელი მაყურებელი ეკრანს მიშტერებული მეკითხება:

— მითხარით, რამდენ კილომეტრზე არიან ისინი?

ვინ ისინი? იუდენიჩი თუ ფრანკო?

რამდენ კილომეტრზე საიდან — მადრიდიდან თუ პეტროგრადიდან?

ფრონტი უკვე იყო აქ, თვით მადრიდში, შემდეგ იგი უკუაგდეს ორმოცდაათ კილომეტრზე და მაგრა აკავებდნენ იქ სამ თვეს, აკავებენ ახლაც. და ამავე დროს ფაშისტურმა არმიამ ერთ თვეში

გადარა სამხრეთ-დასავლეთიდან სამასი კილომეტრი. იგი დედა-ქალაქის კარებს უკაკუნებს.

ინტერვენტების ავიაცია ყუმბარებს აყრის რესპუბლიკურ ნაწილებს, რწყავს ტყვიამფრქვევთა წვიმით, სწვავს, ანადგურებს მძიმე არტილერიით. საჭიროა უდიდესი დარაზმულობა, დისციპლინა, სიმამაცე, არაჩვეულებრივი სიმამაცე, აი ისეთი, როგორც აქვთ ამ კორნშტადტელ მეზღვაურებს და პეტროგრადის პროლეტარებს. აღმოაჩნდება კი ყოველივე ეს მადრიდის ხალხს?

სახალხო მილიციის სახე დღე-დღეზე იცვლება. ცოტა კიდევ და რესპუბლიკა მიიღებს მშვენიერ მტკიცე ნაწილებს. მაგრამ გვიან ხომ არ არის? ხომ არ იქნება უკვე დაკარგული დედა-ქალაქი?

ადამიანები ეძებენ პასუხს ეკრანზე. ოვაციით ხვდებიან ისინი წითლების ყოველ წარმატებას, ნაღვლიანი დუმილით — თეთრგვარდიელთა ყოველ შემოტევას. მესმის დარბაზში ტირილი, მესმის ამასთანავე მოზეიმე გამარჯვების სიხარული.

ჯერ კიდევ არ ვიცით მადრიდის ბედი. მაგრამ ვიცით დასასრული შესანიშნავი ფილმისა კორნშტადტის მეზღვაურებზე. არავის არ შეშველია საბჭოთა ხალხისათვის მის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში რუსეთისა და მსოფლიო ბურჟუაზიასთან. მან თვითონ უშველა თავის თავს, წითელმა მეზღვაურებმა — წითელ ქვეითა ჯარს, კომუნისტებმა—უპარტიოებს, ქალაქმა — სოფელს, ჩრდილოეთმა—სამხრეთს, დონბასმა—ცარიცინს, ცარიცინმა—მოსკოვს. და აქაც, ამჟამად, როდესაც მტრულ და გულცივ ნეიტრალურ გარემოცვაში ესპანეთის ხალხი იცავს თავის სიცოცხლესა და თავისუფლებას, როდესაც მხოლოდ ერთი მოძმე ხალხი უმაგრებს ზურგს შორიდან მის მორალურ და ფიზიკურ ძალებს, — მხოლოდ ერთ რამეს შეუძლიან იხსნას იგი და იხსნის კიდეც: დარაზმულობას, თვითორგანიზაციას და, რაც მთავარია, ყველაზე მთავარი, საკუთარი ძალების რწმენას. ეს მოხდება ადრე თუ გვიან, როგორიც არ უნდა იყოს მადრიდის ბედი...

კაშკაშა სინათლე ავსებს თეატრს, შეძახილი „ვივა რუსია“ იჭრება ინტერნაციონალისა და ესპანეთის რესპუბლიკური ჰიმნის მოზეიმე მელოდიებში.

25 ოქტომბერი.

ფაშისტებმა თავი მოუყარეს ძალებს და დღეს კიდევ გადმოვიდნენ გადამწყვეტი იერიშით მთელს ფრონტზე მადრიდის გარშემო. რაზმელები მედგრად იცავენ თავს, მაგრამ მოწინააღმდეგე ანა-

დგურებს ყოველივეს არტილერიის ცენტრალიზებული ცეცხლით, ტანკების იერიშით.

ტანკები პირველ ხანებში ველურ შიშსა ჰგვრიდნენ. ახლა რაზმელებმა იწყეს ნელნელა მიახლოვება და ხელყუმბარების დაშენა. დიდი როლი ითამაშა ამაში ფილმმა „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ". ნახეს რა იგი, ესპანელი კომკავშირელები ცდილობენ გაიმეორონ წითელარმიელთა გმირობა პეტროგრადთან. კომუნისტები და სოციალისტების ნაწილი მოითხოვენ ასენსიოს მოხსნას ცენტრალური ფრონტის სარდლობიდან. მას მიაწერენ იმ თეორიის ავტორობას, რომელიც ამ უკანასკნელ დღეებში სამხედრო სამინისტროსა და გენერალურ შტაბში დასეირნობს: მადრიდის დაცვას სტრატეგიულად აზრი არა აქვსო, აქ შეიძლება ჩაეფლოს მთელი არმია; ბევრად უკეთესია, მივატოვოთ დედა-ქალაქი, არმია წავიდეს აღმოსავლეთისკენ, იქ გადაჯგუფდეს, შეივსოს, მოვიდეს წესრიგში და მხოლოდ მაშინ შემოარტყას ალყა მადრიდს და დაამარცხოს ფრანკო.

საიდუმლოდ იხილავენ მთავრობისა და უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო დაწესებულებების ევაკუაციის საკითხს. ევაკუაციის მომხრენი ამტკიცებენ, რომ უმჯობესია მოვახდინოთ იგი ახლა, წინასწარ, ვიდრე უკანასკნელ მომენტში, გაქცევის წესით. შინაგან საქმეთა მინისტრმა სხვების დაუკითხავად გამოაქვეყნა გაზეთებში თავისი განცხადება, რომ, ბოროტი ხმების მიუხედავად, მთავრობას განზრახული არა აქვს წავიდეს მადრიდიდან როდისმე და სადმეო.

უფრო და უფრო მწვავდება სურსათის საქმე. შეჩერებულია საბჭოთა კავშირიდან გამოგზავნილი პროდუქტების დარიგება. ეს პროდუქტები დაჯავშნულია, როგორც ხელუხლებელი მარაგი, ქალაქის მომარაგების შეწყვეტის შემთხვევისათვის.

ძალიან საშიში მდგომარეობაა წყლის მომარაგების საქმეში. მადრიდის წყალსაცავი შორს არის, მთაში, ლოსოია-ბუიტრაგოს რაიონში. ფაშისტების გარღვევა ან თუნდაც ქვემეხების დაშენა წყალსადენისთვის თითქმის მთლად უწყლოდ დასტოვებს დედა-ქალაქს

საღამოთი გასაცილებლად წავედი.

მადრიდის ფრონტისპირული ღამის სიბნელეში ძლივს მოვნახე სახლი და ცარიელი ავტობუსი სახლის შესავალთან. საჭიროა დარახუნება. ხელის ფარანი და დაკვირვებული თვალი უთვალთვალებენ კარის სარკმელში. არისტოკრატიული სახლის წყნარი ბაღი, ხოლო შიგნით, დახურულ კარებში, ბოლომდე ჩამოშვებულ ფარდებს

იქით, კაშკაშა სინათლე და გაცხოველება, გამგზავრების ფაციფუცი.

ორმოცი კაცი მიემგზავრება მადრიდიდან გვიან ღამით. ფრონტზე კი არა. არც ვალენსიაში, არც ბარსელონაში.

ეს არის დელეგაცია მოსკოვში, შვიდი ნოემბრისათვის, ზეიმზე.

წარსულ წლებში ესპანეთის სახალხო დელეგაციებიც ესწრებოდნენ ოქტომბრის ზეიმს. გამგზავრებას ისინი ახერხებდნენ ან საპოლიციო კანცელარიებში ხანგრძლივი სიარულისა და წვალების შედეგად, ან დიდი რისკით, საზღვრის არალეგალურად გადასვლის შემდეგ სხვისი პასპორტებით, კონსპირატიულად შეცვლილი მარშრუტით. ახლა საბჭოთა კავშირში მიმავალ მუშებს და გლეხებს რესპუბლიკის მთავრობამ მისცა დიპლომატიური პასპორტები. ელჩები, მართლაც სრულუფლებიანი ელჩები! ხალხმა აირჩია ისინი მუშაობის დროს, ბრძოლის დროს, საამქროებსა და სანგრებში.

ანტონიო იერო მურიელი, წარმოშობით სალამანკელი, მებრძოლი ფრანსისკო გალანის კოლონიიდან, მეხუთე პოლკიდან. დაჭრილია და დაჭრილთა მიერ არჩეულია დელეგატად ჰოსპიტალში. ხოლო დელეგაციამ აირჩია იგი თავის თავმჯდომარედ.

პაბლო ფერნანდეს აშიგო—მუშა-ჩამომსხმელი მადრიდის სამხედრო ქარხნიდან, იერო მურიელზე ნაკლებად არ არის იგი შეესაფერი ორ ხალხს შორის მეგობრობის განსამტკიცებლად. ჯერ კიდევ ბავშვობაში ბიჭები აჯავრებდნენ: „გვითხარი, ვისი მეგობარი (ამიგო) ხარ?“ პაბლო იბნეოდა პასუხში და ცხარობდა. მაგრამ თხუთმეტი წლიდან უკვე მტკიცე პასუხს იძლევა: „მე ვარ საბჭოთა კავშირის ამიგო. სხვა ამიგო ჩვენ ხალხს ჯერ არა ჰყავს“.

სამი ესპანელი გლეხი, რესპუბლიკელი, სოციალისტი და კომუნისტი, არა ნაკლებ ბრწყინვალე დიპლომატიურ კარიერას გააკეთებენ საბჭოთა კავშირში. ისინი აირჩიეს ფრონტის პირად მდებარე სოფლებში, ოთხი-ხუთი კილომეტრის მანძილზე ცეცხლის ხაზიდან. ირჩევდნენ დიდხანს, დიდი კამათით, მკაცრი გარჩევით, ვიდრე არ აირჩიეს საუკეთესონი. ერთ-ერთ მათგანს, ალფრედ ლოპეს სანჩეს, ტოლედოს პროვინციიდან, რუსეთში დიდის სიფრთხილით უნდა მოექცნენ: თვალი რომ მოაშორონ და ერთის წუთით დასტოვონ საბჭოთა სოფელში, მერე ველარ იპოვნი, ველარ გაარჩევ, იმდენად გავს იგი ჩვენს რუს კოლმეურნეს — ქერა, წითური, ცხვირაწეული, კეპით... ორმოცდახუთი წლისაა, მიაქვს დროშა სოფელ მასარაბროსისაგან საუკეთესო კოლმეურნეობისთვის იმათ-

ვან, რომელთა ნახვაც მოუხდება. ხალხს ჯერ კიდევ „სინოროობით" მიმართავს, მაგრამ მაშინვე ასწორებს „კამარადო"-თი.

მაგრამ, რა თქმა უნდა, მეტი წარმატება ექნებათ ქალებს. ენკარნასიონ სიერას ყურებას დაუწყებენ როგორც მუშა-მეთამბაქოეს და როგორც ხუთი ესპანელი შვილის დედას, როგორც ბურილიოს კოლონის მებრძოლს და როგორც ამავე კოლონის კომისარს.

მარია მინგეს ჰერესი მოსკოვს გაემგზავრება თავის ჯარისკაცურ შვებულებაში. პირველ შვებულებაში! სამოქალაქო ომის პირველ დღიდანვე მარია მინგესი ცეცხლის მოწინავე ხაზზეა. მოსკოვში გასაგზავნი ყველა კანდიდატურა მოიხსნა ბუიტრაგოს საბრძოლო უბანში მისი კანდიდატურის წინაშე. მებრძოლებმა მხურვალედ გააცილეს მარია მინგესი. ასევე გააცილეს კომკავშირელი ქალი, კარმენ სალვარო, „ვიქტორიას" კოლონაში არჩეული.

ემილია პრეხარამ გალბარიატუს არავითარი ხარისხი, წოდება და საპატიო პროფესია არა აქვს. ერთი წოდება აქვს მხოლოდ: იგი დედაა ორი ესპანელისა, რომელნიც ფრონტზე იბრძვიან ფაშიზმის წინააღმდეგ. სავსებით საკმარისია...

დროა გამგზავრებისა. წამსვლელნი ამოწმებენ თავიანთ ჩემოდნებს—იქ აწყვია უბრალო და ამაღელვებელი საჩუქრები მოსკოვისათვის.

სინათლის აუნთებლად სხდებიან ავტობუსში. მათ აძლევენ მითითებებს გზის თაობაზე—ახლა უამისოდ არ შეიძლება. უკვე მიიპარებიან ზოგიერთები ალიკანტეს გზისაკენ. თუ მიაღწიეს და შეხვდნენ ავტობუსს, ეს დიპლომატიური პასპორტები, რბილად რომ ვთქვათ, სულ სხვა შთაბეჭდილებას მოახდენენ.

დაცვა? ისინი პროტესტს აცხადებენ:

— თითონ დავიცავთ თავს სხვებზე არა ნაკლებად.

უკანასკნელი მისალმებები, თავდაჭერილი შეძახილები, და ავტობუსი უცბად გაქრა, შთაინქთა სიბნელეში ადამიანებთან ერთად.

გავა რამდენიმე დღე და ისინი გამოჩნდებიან სინათლეზე, სიხარულით აღსავსე ხალხის უზარმაზარ მასებთან, საზეიმო დროშებსა და შუქურებს შორის. ისინი დაინახავენ თავისუფალ, ყოვლის შემძლე ხალხის გრანდიოზულ კოლონებს და მის უძლეველ არმიას. ვოროშილოვი გაიქროლებს ცხენზე წითელი დივიზიების წინ, ხოლო სტალინი გაუღიმებს მათ, ესპანელ დელეგატებს, გრანიტის ტრიბუნიდან.

მე შორს ვიქნები, მაგრამ შორიდან, ამჟამად ესპანური თვალებით, მოსკოვის წითელ მოედანზე ჩავუკვირდები სოციალიზმის

დიად ქვეყანას, მის გამარჯვებათა ზეიმს, მთელი მსოფლიოს მუშათა სტუმრებს, საბჭოთა დემოკრატიას რომ ეწვივნენ, გმირული დასისხლიანებული ესპანელი ხალხის ორმოც წარგზავნილს

27 ოქტომბერი.

რაღაც მნიშვნელოვანი, რთული, რაღაც ღრმა პროცესი სწარმოებს ამჟამად უზარმაზარი ქალაქის წიაღში. მრცხვენია გამოვუტყდე თავს, რომ ვერ გავიგე, სახელდობრ—რა. მე ესპანელი არა ვარ, მაგრამ არ ვიცი, გავიგებდი, მოვიცავდი, ესპანელიც რომ ვყოფილიყავ. არ ვიცი, ესმით თუ არა მთავრობას და პოლიტიკურ ხელმძღვანელებს.

რაღაცა იბადება და რაღაცა კვდება.

კვდება თითქოს უმწეობისა და განწირულების შეგნება.

იბადება, მასების მოწინავე ფენებში მაინც, წინააღმდეგობის, მადრიდის დაცვის, მისი უვნებლობის, მისი ხელმძღვანელობის იდეა და ნებისყოფა.

განა იგი მხოლოდ დღეს იბადება? განა იგი ყოველთვის არ იყო, ეს იდეა მადრიდის ფაშიზმისაგან დაცვისა? განა მილიონჯერ არ არის გამეორებული გაზეთებში, მიტინგებზე, ეთერში, უზარმაზარ ტილოებზე, რომელნიც ქუჩების თავზეა გადაჭიმული: „ვერ შემოვლენ“, „შევინარჩუნოთ მადრიდი, ან მოვკვდეთ!“

მაგრამ ამ ფორმულაში უფრო მეტად იგრძნობოდა მეორე, ვიდრე პირველი ნაწილი.

ტრაგიკულის გრძნობა არაჩვეულებრივად აქვს განვითარებული ესპანელს; იგი ნაციონალურია. ბიჭები ექვსი წლიდან ყოველ კვირა დღეს ხედავენ ძალლონით სავსე და გაშმაგებით აღტყინებული ექვსი ხარის და ზოგჯერ თვით ტოროს სიკვდილს. დამკრძალავი მაღაზიები ყველაზე მდიდრული და მორთულია ქუჩებში. ფიქრი სიკვდილზე, თუმცა ღირსეულ, გმირულ, მაგრამ მაინც სიკვდილზე, მეტად ხშირად ესტუმრება ხოლმე ესპანელ მებრძოლს, იმასაც კი, ვინც მატერიალისტებში ირიცხება. ეს ფიქრი ეუფლება მის აზროვნებას, აიძულებს ჩაიდინოს ზოგჯერ თავაღებული, ზოგჯერ კი გულუბრყვილო საქციელი.

ამ ფსიქოლოგიისაგან შეუძლია განკურნოს იგი მხოლოდ ხანგრძლივმა ყოფნამ ბრძოლაში, ცეცხლის ქვეშ. უბრალოდ რომ ვთქვათ, ომის ჩვეულებამ.

რაღაც მოლეკულარი ცვლილებები ხდება აქ. ჩემის აზრით, დიდი ცვლილებები. გრძნობენ თუ არა ამას ხელმძღვანელები, გე-

ნერლები, მეთაურები? ხომ არ სცდებიან ისინი ხალხის განწყობილებებში, მის ბრძოლის უნარიანობაში? ან იქნებ მე ვცდები? რა იქნება, რომ ხალხი, ბრძოლისათვის მომწიფებული, დარჩეს უბელადებოდ, რომელნიც უკვე გადამწიფდნენ და დალპნენ?

მძლავრი საარტილერიო ცეცხლისა და ავიაციის თანხლებით ფაშისტები მთელ დღეს მიიწევენ ტოლედოს გზით ხეტაფესაკენ, ესტრემადურის გზით ლეგანესაკენ. მათ ხელში ჩაიგდეს გუშინ სესენია და ტორეხონ დე ლა კალსადა. გვადარამაზე სიწყნარეა. და ყველგან—არაგონის, სამხრეთის, ჩრდილოეთის ფრონტებზე სიჩუმეა, სიწყნარე, ყველაფერი განაბულია და ელის მადრიდის ბედს.

ნაშუადამევს მიგელ მარტინესი გაემართა დერ ვალენსიის გზით, შემდეგ გადაუხვია მარჯვნივ, ვიწრო გზატკეცილზე, ჩინჩონისაკენ. ხეები ეშმაკებივით იჭრებოდნენ სიბნელიდან ავტომობილის ფარების ნათელ წრეში. საშიში იყო, რომ წინ მიმავალი მოტორისტი-გამძღოლი შეიჭრება ამ ხეებში და დაყვირებასაც ვერ მოასწრებს, ისე მოუღებს უკანიდან ბოლოს მანქანა. შენელება არ შეიძლება: მოტორისტი და შოფერი ერთად ატაცებული წყვილია.

ჩინჩონს იქით, დაბლობში, მარტინესმა საათს დახედა და გაარერა მანქანაც და მოტოციკლიც. მიწა გარშემო, მთვარის შუქზე, თაბაშირისა იყო, ტალღოვანი, ვულკანურ მრგვალ კრატერებსა და პიკებში. უხეში, წვრილი ბუჩქნარი და მშრალი ამომწვარი ბალახი ძუნწად იზრდებოდნენ მასზე.

მეოთხედი საათის შემდეგ ციკადების წრუწუნში შორიდან მოისმა თანაბარი და წყნარი გუგუნი. შოფერი და მოტორისტი შეტორტმანდნენ, მიგელი იღიმებოდა. გზაზე გამოჩნდა მბჟუტავ ცეცხლთა ჯაჭვი. უფრო ახლოს გუგუნი გრიალად გადაიქცა, და ბოლოს გორაკიდან ტანკები გადმოგორდნენ. ერთი ასეული, მხოლოდ ერთი ასეული.

ავტომობილმა ფარები ჩაურთო — ტანკისტები იმ წამსვე გაჩერდნენ. ისინი ამ შოსეს მთლად უკაცურად სთვლიდნენ, არ მოელოდნენ შეხვედრას. რამდენიმე ადამიანი წინ გამოვიდა. ისინი გამოელაპარაკნენ მიგელ მარტინესს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეხვივნენ.

ტანკების ასეულმა გარს შემოუარა მძინარე ჩინჩონს. მაგრამ მეორე პატარა სოფელში ხალხმა გაიღვიძა, ყველანი გამოცვივდნენ ქუჩაში და აღფრთოვანებულნი ყვიროდნენ „ვივა!“.

ვლ. მაიაკოვსკი

არასრულწლოვანებისა, რომელიც მეომთხვევლისმერ მაიაკოვსკის ზათხულში, აგარაკზე

ასორმოცი მზე დაისში დნება,
ივლისის კართან გორავს ზაფხული.
იყო ალხი და
პაპანაქება —
აგარაკზე მაქვს მე ეს ნახული.
პუშკინოს აღმართს რომ აჯდა კუზი —
აკულოვის მთა სახელად ერქვა.
ამ მთას ბოლოზე
სოფელი უზის,
გადაქცეული
ყავრების ქერქად.

სოფელ გადაღმა
მოსჩანდა ბუნდად
ერთი ნაპრალი და ამ ადგილას
მზე ეშვებოდა ყოველ დღე, მუდამ
ნელა, ნამდვილად.
და ხვალ
ისევე,
სხივების ელვა
ზეცას აგლეჯდა
სიბნელის რაზას.
ამ საქციელმა
მე გადამრია
და გამაბრაზა.

და ერთხელ რისხვით დავიწყე ნგრევა.
და ავაწვდინე ძახილი ცამდე:
მზეო, გეყოფა ალმურში თრევა,
დედამიწაზე ჩამოხტი,
დადექ!
„შე მუქთახორა! —
შევძახე მნათობს, —
ესათუთები ღრუბლის ნაკადებს,
მე კი აქ ვიწვი, ზამთარში მათოვს,
და მაინც ვხატავ და ვწერ პლაკატებს“.
კვლავ დავუყვირე:
ჰე, ოქროსშუბლავ,
აქრობ დაისს და
ანთებ ალიონს
და უსაქმურად რომ ჰგოჩავ უბრად,
სჯობია ჩემთან
ჩაი დალიო.

რა ჩავიდინე!
თვითონ ვურჩიე!
დასალუპავი, ამქოლეთ ყველამ:
სხივი-ნაბიჯი გადაუშლია
და მოაბიჯებს
მზე
ჩემკენ ველად.
ვმალავ შიშსა და თან ვიმალები,
მოვიპარები უკან თანდათან
ბაღშია უკვე მისი თვალები
და სახლსაც უკვე შემოანათა.
სარკმელში,
კარში,
კედლების ბზარში
მზიური მასა ელავს საშინლად;
სულთქმა შეკვრია დაღალულს გზაში
და ასაუბრდა ბანით მაშინვე:
სინათლემ უცებ გადაბუგა წყნარი დაისი,
და წარღვნის ცეცხლი ირგვლივ მოედო.
შენ მეძახოდი?
ჩაი დამისხი,

ჩქარა მურაბა, ჩემო პოეტო!
მზესაც შევნიშნე თვალებზე ცვარი,
ვშიშობ, ალმური ჭკუიდან მაკრთობს.
შევბედე: „აი დუღს სამოვარი,
მობრძანდით“ — ვკადრე
უდიდეს მნათობს.
ეს თავხედობა ხომ ჩამამწარა,
ვნანობ,
მაშინებს უზენაესი;
ვზივარ მაგიდის ყურესთან წყნარად,
ნეტავ არ მოხდეს რამ უარესი!
მეფინებოდა უტკბეს სალამით
დარბაისლობა,
სხივი მნათობის,
და მოკრძალება აქ მასლაათში
გადამავიწყდა
თანდათანობით.
ხან ერთს შევეხეთ,
მეორეს მერე,
ვუთხარ, რომ „როსტამ“ შემჭამოს ლამის.
მზემ კი: ეხ, ძმაო!
შენ შენთვის სწერე,
გულს ნუ გაიტეხ,
პოეტო, ამით.
„შენ თუ გგონია,
რომ ადვილია
ჩემთვის ნათება?
— მოდი და სცადე! —
მე-კი მოვდივარ
ყოველ დილიდან
და ვფანტავ სხივებს მიწიდან ცამდე!“

ასე ვილაყბეთ, ბინდი იმ დღესა
გაჰფანტა სხივმა აურ-ზაურით;
უკვე „შენო“-ბით
მივმართე მზესა,
უკვე სავსებით გავშინაურდი.
და რადგან ძმობას
ის ალარ მალავს,

მზეც მეუბნება:
მხარზე დავკარი მეგობარს ტორი,
„შენ და მე ახლა
ვართ ამხანაგი ორი.
წამო, პოეტო,
მღერით
და ფრენით
ამ დედამიწის ნაცრისფერ ნაგავს
მე დავეცემი მზიური ფრთებით,
შენ მოეფინე
ლექსების ჰანგად“.
ღამის და ჩრდილის
კოშკი მაღალი
მზეთა შაშხანის განგმირა ელვამ,
ლექსის და შუქის ალმაყალით,
სადაც კი მივწვდით, დავკარით ყველგან!

ღამე იღლება,
თავს მიდებს ცაში;
ჩლუნგი, მძინარა
ეძლევა ძილსა,
უცებ და ძლიერ
ვთენდები მაშინ
და ჟღარუნდება ნათელი დღისა.
ნათება ყველგან,
ყოველ არეში,
სანამ არ მივწვდეთ დღეების ძირსა;
ნათება ყოველ მიზეზს გარეშე!
აი ლოზუნგი ჩემი და მზისა.

მთარგმნელი მიქელ პატარიძე

ტარას შევჩენკო

ზამბახი

„ — ნეტავ, რისთვის არ ვუყვარდი
ბავშვობის დროს არვის?
ან რად მომკლეს და ცხოვრებას
ველარ მოვესწარი?
ახლა რატომ პალატებში
დამდგეს, შემიყვარეს,
მეფის ასულს მიწოდებენ,
ხოტბა დამაყარეს,
არ იციან, ხან სად დამდგან,
ხან რა უფრო მართობს;
მითხარ, რისთვის, ძმაო ჩემო,
მითხარ, მეფის ვარდო?“
„—მე არ ვიცი, დაო ჩემო!“ —
ეტყვის მეფის ვარდი
და მეგობარს მეწამულ თავს
ძირს დაუხრის დარდით.
ძირს დაუხრის თეთრ-კაბიანს
ზამბახს დაბლა დახრილს
და ზამბახიც ატირდება,
ცვარის ცრემლებს დაღვრის.
ცრემლით ეტყვის: „რა ხანია
გვიყვარს ერთმანეთი,
და არ მითქვამს, ძმაო ჩემო,
დღემდე ჩემი ბედი:
რომ გოგონა ვიყავ ქვეყნად,
არა მინდვრის ვარდი,

რომ დედაჩემს მუდამ დიდი
წვავდა რაღაც დარდი.
ცუგრუმელა გოგო მისთვის
ვანათებდი მზედა;
მიცქეროდა, მიცქეროდა
და სტიროდა დედა.
ძმაო ჩემო, ერთად-ერთო,
არ ვიცოდი მაშინ,
რატომ ვყავდი საგოდებლად
დედას ჩვილი ბავშვი.
მე ვხტოდი და ვთამაშობდი,
ის ტიროდა ცრემლით...
და ბოროტ პანს, ბოროტ ბატონს
იგონებდა წყევლით.
ასე მოკვდა... მე ბატონმა
წამიყვანა მასთან,
პალატებში ვიზრდებოდი
გოგო ახალგაზრდა.
უკანონო თუ ვიყავი,
რა ვიცოდი მაშინ,
თუ ბატონის შვილი ვიყავ
მე პატარა ბავშვი.
ერთხელ შორ გზას გაემგზავრა,
მე დამტოვა შინა.
მაშინ აღსდგა ხალხი წყევლით,
დასწვა მისი ბინა,
რატომ, ახლაც კი არ ვიცი.
მოკვლით მე არ მომკლეს,
მხოლოდ გრძელი ნაწნავები
შემჭრეს, შეამოკლეს.
მდევნიდა და დამცინოდა
ხალხი ყოველ კუთხით,
თავზე ჩვრები დამახურეს
მომაყარეს ფურთხი.
ასე ვიყავ იმ ქვეყანად
ტანჯვით, არა ლხენით;
როგორ ადრე შემიმოკლეს
სიყმაწვილის დღენი.
მოვკვდი. მიწას მიმაბარეს

და, ცივ ზამთრის გარდა,
გაზაფხულზე დაბლა ველში
ვიშლებოდი ვარდად.
ვიშლებოდი თეთრ ყვავილად,
როგორც თეთრი თოვლი,
ის მინდორი გავახარე,
არც გამაჩნდა ტოლი.
ზამთრით ქოხში არ მიშვებდა
ხალხი... ღმერთო დიდო,
გაზაფხულზე ჩემს ვარდობას
დაჰხაროდნენ თითონ.
ჭრთავდი ველს და გოგონები
ეწვეოდნენ ამ ბაღს,
თოვლის ვარდი დავკრიფოთო;
მეძახოდნენ ზამბახს.
ვიშლებოდი, ვყვავილობდი
თავმომწონის ეშხით
სათბურებში, დიდ ეწრებში
და თეთრ სასახლეში.
მითხარ, ძმაო, მეგობარო,
მითხარ მეფის ვარდო,
რისთვის უნდა ღმერთს ამ ქვეყნად
ვარდად რომ ვიზარდო?
იქნებ მისთვის, რომ ის ხალხი
გავახარო ერთობ,
ვინაც მომკლა მეც და დედაც?
ღმერთო, სად ხარ, ღმერთო!"
და ზამბახი ატირდება,
მხოლოდ მეფის ვარდი
ჭალ-მეგობარს მეწამულ თავს
ძირს დაუხრის დარდით.
ძირს დაუხრის თეთრ-კაბიანს
ზამბახს დაბლა დახრილს
და ზამბახი ატირდება
ნამის ცრემლებს დაღვრის.

კიევი 1846
25 ივლისი

თარგმნა ირაკლი აბაშიძემ

იაკობ გალახოვილი

მაიაკოვსკი თბილისში

I

მსოფლიო ომის წინ ოქტომბრის რევოლუციის აკვნის დამრწევ ქალაქიდან რუსეთის ცენტრალურ ადგილებში ლიტერატურული გამოსვლების მოსაწყობად გაემართა რუს ფუტურისტთა ჯგუფი დავით ბურლუკის, ვასილ კამენსკის და ოცი წლის ვლადიმერ მაიაკოვსკის შემადგენლობით.

სამეულმა მოიარა ხარკოვი, პოლტავა, ოდესა, კიშინიოვი, ნიკოლაევი, კიევი, ყაზანი და პენზა.

ქალაქ პენზაში მაიაკოვსკის აზრად მოუვიდა ტფილისში წამოსვლა. ვასილ კამენსკი მოგვითხრობს:

„...მუდმივი აყალმაყალითა და ჩხუბით ოდნავ მოღლილმა მაიაკოვსკიმ მტკიცე წინადადება მოგვცა:

— წავიდეთ, ყმაწვილებო ტფილისში, ეს ერთად-ერთი ქალაქია, ჩემი ქალაქი, სადაც არ მოხდება არავითარი უსიამოვნება, სადაც უყვართ პოეტები და იციან მათი ღირსეულად მიღება“ [1]).

თანამგზავრნი უსიტყვოდ დაეთანხმნენ მაიაკოვსკის.

1914 წლის 25 მარტს ჩამოვიდნენ ტფილისში და დაბინავდნენ, რუსთველის პროსპექტზე — „გრანდ ოტელში“.

„მაიაკოვსკი მაშინვე გაჰქრა, — სწერს თავის მოგონებაში კამენსკი, — და ნახევარი საათის შემდეგ მას თან მოჰყვა ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი. მაიაკოვსკი ეხვეოდა მათ, ჰკოცნიდა და ლაპარაკობდა ქართულად ისევე, როგორც რუსულად.

ჰკითხულობდა თავისი ბავშვობის მეგობრებს ქუთაისის გიმნაზიიდან, ბალღივით მხიარულებდა და რამდენჯერმე ლეკურის ცეკვაც კი სცადა.

---

[1]) „Юность Маяковского“, 1931, გვ. 51 — 52.

კითხულობდა თავის ლექსებს და ჩვენც გვაკითხებდა. ერთის სიტყვით, ცხადი იყო, რომ მაიაკოვსკი თავის სახლშია მძლე და მედგარ მეგობართა შორის.

აშკარად სჩანდა, რომ ფუტურისტული გამარჯვება ტფილისში ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო და არავითარ უსიამოვნებას აქ ადგილი არ ექნებოდა.

ასეც მოხდა.

როცა გააკრეს ყველგან მაიაკოვსკის კერესივით (კოფთასავით) ყვითელი აფიშები ჩვენი სადღესასწაულო გამოსვლის შესახებ, ახალგაზრდობის გრანდიოზული ჯგუფი დაგვდევდა და გაიძახოდა: „გაუმარჯოს პოეტებს“.

ქუჩის ეს სანახაობა დღესასწაულს, არაჩვეულებრივ მოვლენას ჰგავდა.

სურათი ამგვარი იყო: აჭრელებულ ტანისამოსში გამოწყობილი სამი პოეტი დასეირნობს გოლოვინის მზიან ქუჩაზე.

გარშემო კი წყალვარდნილი იყო ახალგაზრდობისა, გაზაფხულისა, სიმღერებისა და აღფრთოვანებული ხმებისა.

„ფუტურისტები ჩამოვიდნენ“, „ფუტურისტები სეირნობენ“, „ფუტურისტები ფორთოხალს სჭამენ“, „ფუტურისტები დაამტკიცებენ“, „გაუმარჯოს“. [1]).

მონარქიული ხელისუფლება დაფრთხა. პოლიცია ფეხზე დადგა. მთავრობის ოფიციოზი ილაძღებოდა.

გაზ. „ტიფლისკი ლისტოკი“ ნერვული და აღშფოთებული სტილით სწერდა:

„25 მარტს პროსპექტზე უსაქმურთა ხროვა, უმთავრესად მოზარდთაგან შემდგარი, დაჰყვებოდა სამ მეტად უცნაურად გამოწყობილ პირს. ერთი მათგანი ყვითელ კერესში იყო, მეორეს თავზე უცნაური რამ ეხურა, მესამეს პირისახე საღებავებით ჰქონდა შეთითხნილი. „ცირკი ჩამოსულაო, — ამბობდნენ ბრბოში, — ჯამბაზები დასეირნობენ რეკლამის შესაქმნელადო“. ამ „სახელმოხვეჭილ მომავლის მქადაგებელთათვის“ სივიწროვეა თეატრში. ამიტომაც ისინი ყვითელი სამოსით გოლოვინის პროსპექტზე დასეირნობენ. დროა აიკრძალოს ეს სისაძაგლე“ [2])

ორი დღის შემდეგ ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში მოეწყო რუს ფუტურისტთა გამოსვლა. საღამოს ერთ-ერთი დამსწრე, პოეტი სერგეი სპასკი იგონებს:

---

[1]) იქვე, გვ. 52 — 53.

[2]) გაზ. „Тифл. листок“-ი, 1914 წლის 27 მარტის ნომერი.

„დანიშნულ დროს გავეშურე თეატრისაკენ. ხალხის წინ ჩაიარა მაიაკოვსკიმ. ის ხელებს იქნევდა და ხალხს მიარღვევდა. მაიაკოვსკის მისდევდა ვიღაც გიმნაზიელი, მგონი, მისი ნათესავი. იგი ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, თითქოს პროსპექტი მისი საკუთარი ბინა ყოფილიყოს.

სახელმწიფო ოპერის თეატრის ფარდის უკან მთელი დეკორაციები აელაგებინათ, უკან გაფენილი იყო თეთრი ტილო დიაპოზიტივების საჩვენებლად. გასწვრივ იდგა გრძელი მაგიდა და მასზე მარაოების მსგავსად ელაგა ფუტურისტების ჭრელი გამოცემები. გვერდით ღია კათედრა იყო. კათედრაზე დირიჟორებისათვის — ნოტების პიუპიტრი.

მაიაკოვსკი სცენაზე შეიჭრა, გვერდზე ჩაზნექილი ფესკით.

— ვეფხვია, ჩვენი ვეფხვია! — წარმოსთქვა მაშინვე აღტაცებულმა ბურლუკმა.

ფარდა ხმაურით აიწია. სცენაზე მაგიდას ფუტურისტები უსხდნენ.

ბურლუკმა პატარა პაუზის შემდეგ აიღო მაგიდიდან უზარმაზარი ზარი, გააყრუა დარბაზი მისი საეკლესიო ხმით და მერე სიტყვა მისცა მაიაკოვსკის.

მაიაკოვსკიმ დააგდო მაგიდაზე ფესკა და აშლილი თმის გაუსწორებლად ახტა გადასასვლელზე პიუპიტრით ხელში. ლაპარაკის დროს იგი მთელი ტანით ირხეოდა. მისი ხმა ფართოდ იშლებოდა დარბაზში.

— მოწყალეო ქალბატონებო და მოწყალეო ბატონებო! — წარმოსთქვა მან. — თქვენ აქ მოხვედით აყალმაყალისათვის. გაფრთხილებთ, აყალმაყალსა და აურზაურს აქ ადგილი არ ექნება.

მისი სიტყვა მონოლოგი არ იყო. მაიაკოვსკი ესაუბრებოდა აუდიტორიას. პასუხს აძლევდა ხალხის მიერ ნასროლ რეპლიკებს. საუბარი მიმდინარეობდა წინასწარ მოფიქრებული და შედგენილი გეგმის გარეშე. მისი სიტყვა ემყარებოდა მახვილ მოულოდნელ გამოთქმებს.

მაიაკოვსკი აუდიტორიის წინაშე კითხულობდა ლექსის ნიმუშებს და ამით დამსწრეთ აცნობდა ახალ პოეზიას... კითხულობდა ლექსებს ხან დარბაისლურად, ხან ამაღელვებლად, ხან ფართოდ გაჭიმავდა სიტყვებს ხმოვანთა საშუალებით, ხან მოაქცევდა მათ გამოთქმის მაგარ ფორმაში და ასე ახლიდა დარბაზს ლექსის ატროფებს.

იმ საღამოს მაიაკოვსკიმ წაიკითხა სევერიანინის „ტიანა“. ამ უბრალო პიესას იგი ტრაგედიის იერს აძლევდა. წაიკითხა ველიმირ ხლებნიკოვის „სმეხაჩი“ და თავისი ლექსების მთელი სერია“.[1]

ვასილ კამენსკი გადაუჭარბებლად შენიშნავს:

„გავარვარებული აუდიტორია ყოველი ორი-სამი წამის შემდეგ იფეთქებდა ხოლმე, ანთებული აპლოდისმენტების დენთით“.[2]

საოპერო თეატრში გამართულ საღამოს შემდეგ გამარჯვებით გახარებულნი და აღტაცებულნი დადიოდნენ ისინი სამიკიტნოებში, საყავეებში, ბაზრებში და კითხულობდნენ თავიანთ ლექსებს.

არა ერთხელ ესტუმრენ მამა-დავითის მთასაც, ფუნიკულიორის ზემო სადგურს. ერთი ასეთი ასვლის დროს მაიაკოვსკიმ გადახედა მაღლიდან მთების მიტინგს და სთქვა:

„აი ეს არის აუდიტორია. ამ მთის ესტრადიდან თამამად შეიძლება მსოფლიოს ელაპარაკო“.[3]

ტფილისიდან ფუტურისტთა სამეული გაემგზავრა ჯერ ქუთაისს, შემდეგ კი რუსეთში.

2.

გაიარა ათმა წელმა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციითა და ლენინის უკვდავი სახელით შთაგონებული მაიაკოვსკი 1924 წლის 29 აგვისტოს ჩამოვიდა საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქ ტფილისში.

ამ ჩამოსვლას საბაბი მისცა შემდეგმა გარემოებამ:

ზამთრის სეზონის დასრულების შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრი დაუვიწყარ კოტე მარჯანიშვილთან ერთად მანგლისში ისვენებდა.

მხატვარი ირაკლი გამრეკელი იგონებს:

„მანგლისში დასასვენებლად ჩასულნი, გახურებულ შემოქმედებითს მუშაობას ვაწარმოებდით — ვამზადებდით შემოდგომისათვის ახალ დადგმებს. საღამოთი იწყებოდა ხოლმე გაცხოველებული კამათი სარეპერტუარო როლების, სახის სწორი გახსნის, კონსტრუქტივიზმისა და რეალიზმის შესახებ.

კოტე მარჯანიშვილი ამ კამათში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ჩვენ მაშინ არაფერი ვიცოდით მის გრანდიოზულ განზრა-

---

[1]) ჟურნ. „лит. совр“. 1935 წ., № 3, გვ. 210 — 211.

[2]) „Юность Маяковского“, გვ. 54.

[3]) იქვე, გვ. 54

ხვაზე „მისტერია ბუფფის“ დადგმის შესახებ. ვიცოდით მხოლოდ, რომ მან ეს პიესა მოსკოვიდან �ილო, მგონი, თვითონ მაიაკოვსკისაგან და დიდხანს მუშაობდა მასზე.

ერთ საღამოს მარჯანიშვილმა გადაგვიშალა „მისტერია ბუფფის“ დადგმის თავისი გეგმა. პირველი ვარიანტით ეს პიესა უნდა დადგმულიყო მამადავითის მთაზე—ფუნიკულიორზე... კ. მარჯანიშვილი მაშინვე გაემართა ტფილისს ადგილმდებარეობის დასათვალიერებლად. მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ ფუნიკულიორის ზემო პლატოზე დადგმის განხორციელება ძნელია, გადასწყვიტა პიესის დადგმა ფუნიკულიორის ქვემო სადგურთან, გორაზე. კოტე მარჯანიშვილმა „მისტერია ბუფფის“ გაფორმება მე დამავალა“. [1])

როგორც ეტყობა, კ. მარჯანიშვილმა აცნობა მაიაკოვსკის თავისი განზრახვა და სწორედ ამან გამოიწვია მისი ტფილისში ჩამოსვლა.

იმ ხანებში ტფილისში ჩამოყალიბებული იყო მწერალთა „მემარცხენე ჯგუფი“, რომელშიაც შედიოდნენ: სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ შენგელაია, ბესარიონ ჟღენტი, ირაკლი გამრეკელი, ნიკოლოზ ჩაჩავა და სხვები. ჯგუფი თავს იყრიდა მწერალთა სასახლის ერთ-ერთ ოთახში.

„ვიღაცამ ჩვენი წრიდან, — განაგრძობს მხატვარი ირაკლი გამრეკელი, — მაიაკოვსკი გამაცნო... მან მაგრა ჩამომართვა ხელი და გამიღიმა... ორი დღის შემდეგ ჩვენ წრეს ესტუმრა მაიაკოვსკი. წაგვიკითხა თავისი ლექსები. ჩვენ ყველამ ბევრი ვიდავეთ.

მაიაკოვსკი ძალიან გაიტაცა „მისტერია ბუფფის“ ლია ცის ქვეშ დადგმის იდეამ. იგი დაწვრილებით მეკითხებოდა მაკეტების შესახებ. აინტერესებდა ხარჯთ-აღრიცხვა.

ორი დღის შემდეგ კვლავ შევხვდი მაიაკოვსკის რუსთაველის პროსპექტზე, პატარა კაფეში. დავსხედით უკანა ოთახში და ვსაუბრობდით მისი პიესის დადგმაზე. ლაპარაკობდა უმთავრესად მაიაკოვსკი. იგი გამუდმებით ბოლთას სცემდა ოთახში უჯრედებიან შარვალში ხელებ-ჩაყოფილი.

დიდხანს ვერაფერი მოვისაზრეთ, თუ როგორ გაგვეფორმებინა „ჯოჯოხეთის“ სცენა. ვსდუმდით. მაიაკოვსკიმ უცებ გაიცინა და სთქვა:

— იქ ხომ პრიმუსია, ვეებერთელა ანთებული პრიმუსი და ტაფა. მოქმედებაც მასზე გაიშლება. გასაგებია ჯოჯოხეთი და ცოდვილები...

---

[1]) გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1936 წ., № 9.

და მაიაკოვსკიმ დაწვრილებით ამიხსნა, როგორ და რისი გაკეთებაა საჭირო.

მახსოვს, მაიაკოვსკიმ წინადადება შემოიტანა, რომ უკანასკნელი მოქმედება გაგვეფორმებინა ვეებერთელა ფეხსაცმლის სახით. თასმის მაგიერ კიბე იქნებაო, — მიხსნიდა იგი. მისი აზრით, მოქმედებაც თანდათან აიწეოდა ქვევიდან ზევით და გაიშლებოდა ფეხსაცმლის თავზე". [1])

3.

გაზ. „კომუნისტის" 1926 წლის 27 თებერვლის ნომერში დაბეჭდილმა ქრონიკამ ამცნო მკითხველთ: „ტფილისში ჩამოვიდა პოეტი ვლ. მაიაკოვსკი"...

ქრონიკას გამორჩა დაემატებინა სიტყვა „გუშინ", რადგან ამერიკიდან ახლად დაბრუნებული ვლ. მაიაკოვსკი ტფილისში ჩამოვიდა აღნიშნული წლის 26 თებერვალს მოხსენებით „ჩემ მიერ ამერიკის აღმოჩენა". „კომუნისტის" რეპორტიორი სწერდა:

„მაიაკოვსკი დიდი პოეტია და, მართლაც, ინტერესს არ არის მოკლებული, თუ როგორ გატარდა მის პოეტურ პრიზმაში ამერიკის სინამდვილე, რა აღმოაჩინა პოეტის მგრძნობიარე თვალმა და ყურმა ისეთი, რაც სხვებისთვის შეუმჩნეველი და ჩაუწვდომელი რჩება". [2])

მოხსენების შემდეგ მაიაკოვსკიმ წაიკითხა თავისი ლექსები ამერიკაზე, რომლებშიაც პოეტური ფიგურებით, მოხერხებული შედარებებით და სახეებით შორეული და უცნობი ქვეყანა მსმენელებისათვის მისაწვდომი და ადვილად საგრძნობი გახდა.

27 თებერვალს გაიმართა ვლ. მაიაკოვსკის მეორე საღამო, რომელზედაც მან თავისი თავი „პოეტური გემოვნების დიქტატორად გამოაცხადა".

4.

ერთი წლის შემდეგ 9 დეკემბერს მაიაკოვსკი კვლავ ჩამოვიდა ტფილისში..

ამავე საღამოს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მაიაკოვსკის საღამო. ორი დღის შემდეგ გაზ. „კომუნისტმა" ასეთი ანგარიში მოათავსა ამ საღამოს შესახებ:

---

[1]) იქვე

[2]) გაზ. „კომუნისტი", 1926 წ., № 97.

„მაიაკოვსკიმ თავისი ლექსების წაკითხვას წინასიტყვაობა წაუმძღვარა. ჩვეულებრივი უბრალოებით გამოსთქვა აზრი მუსიკაზე, კინოზე და თეატრზე. გარკვეულად განაცხადა, რომ პოეზიაში მთავარი მნიშვნელობა აქვს არა პირად „ღვთაებრივ“ განცდებს, არამედ ყოველდღიური და არსებული სოციალური პირობების მოთხოვნილებების მხატვრულ დამუშავებას.

ასეთი გაგებით არის დაწერილი მისი უკანასკნელი პოემა „კარგია“, საიდანაც წაუკითხა ნაწყვეტები აუდიტორიას.

საღამოს მეორე ნახევარში უპასუხა იმ მრავალ შეკითხვას, რომლებიც მიიღო აუდიტორიიდან წერილების სახით. შეკითხვების მეტი ნაწილი სენსაციური ხასიათისა იყო. მხოლოდ რამდენიმე შეკითხვას გასცა მომხსენებელმა სერიოზული პასუხი.

ერთ-ერთ შეკითხვაზე: „რისთვის ვიბრძოდით“, პოეტმა წაიკითხა ახალი ლექსი ამავე სათაურით, სადაც ობივატელური გაგება რევოლუციისა მხატვრული სტილით გამოამჟღავნა და აუდიტორიისათვის ნათელი გახადა რევოლუციის ამგვარი გაგების რეაქციური ბუნება.

დასასრულ, საზოგადოების თხოვნით წაიკითხა „მიმართვა სერგეი ესენინს“.

საღამოს მრავალი ხალხი დაესწრო“.[1])

მეორე დღეს, 10 დეკემბერს, მაიაკოვსკიმ საღამო გამართა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საღამოს პირველ ნაწილში პოეტმა წაუკითხა სტუდენტებს თავისი ძველი და ახალი ლექსები, სხვათა შორის, „ამბავი, რომელიც შეემთხვა ვლადიმერ მაიაკოვსკის აგარაკზე ზაფხულში“, და განაცხადა, რომ ეს ნაწარმოები გამოხატავს ჩემს დამოკიდებულებას ლიტერატურისადმი. შემდეგ პოეტმა წაიკითხა: „წერილი მაქსიმ გორკისადმი“, „სევასტოპოლი და იალტა“, „ბებელის სახელობის ქარხნის ლუდხანა“.

„განსაკუთრებული აღტაცება, — სწერს გაზ. „კომუნისტი“, — გამოიწვია სტუდენტებში რევოლ. ლექსმა „მარცხენა მარშმა“. საღამოს მეორე განყოფილებაში მაიაკოვსკიმ გამართა საუბარი სტუდენტებთან, გასცა პასუხი აუარებელ წერილობითს შეკითხვაზე.

კამათი გაგრძელდა ორ საათს.

დასასრულ, მაიაკოვსკიმ წაიკითხა თავისი ახალი პოემის „კარგიას“ ნაწილი. საღამოს 2.000-დე სტუდენტი დაესწრო“[2])

---

[1]) გაზ. „კომუნისტი“, 1927 წ., № 281.
[2]) იქვე.

11 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში მოეწყო მაიაკოვსკის მეორე საღამო, რომელმაც უფრო მეტი ინტერესი და ხალისი გამოიწვია დამსწრეთა შორის, ვიდრე ამავე თეატრში გამართულმა პირველმა ლიტერატურულმა გამოსვლამ. მოხსენების თემად აღებული იყო: „თანამედროვე ყოფა“. მოხსენების გარშემო პოეტს უამრავი შეკითხვა მისცეს...

საღამოს დასასრულს მაიაკოვსკიმ წაიკითხა ლექსების მთელი სერია და ნაწყვეტი პოემიდან „კარგია“. ყველაზე აღფრთოვანებული შეხვდა აუდიტორია პოემის ნაწყვეტს — „საუბარი ბლოკთან“. სხვა ლექსებიდან აუდიტორიამ დიდი ყურადღებით მოისმინა და განსაკუთრებით მოიწონა „რისთვის ვიბრძოდით“ და „მარცხენა მარში“.

12 დეკემბერს მწერალთა სასახლეში საქ. პროლ.. მწერალთა ასოციაციის ყველა სექციის გაერთიანებულ სხდომაზე ვ. მაიაკოვსკიმ გააკეთა მოხსენება თემაზე: „ლექსი და პოეტის ამოცანები“, ხოლო 13 დეკემბერს ცენტრალურ მუშათა კლუბში გაიმართა მისი საღამო. ეს საღამო აღსანიშნავია როგორც მაიაკოვსკის პირველი გამოსვლა ტფილისის მუშათა აუდიტორიაში.

ეს იყო მისი უკანასკნელი გამოსვლა ტფილისში.

ვიქტორ ბოლცევი

დავით გურამიშვილის გედი

მირგოროდის მახლობლად, პატარა და დაჩაჩანაკებული სახლის წინ მარტოდ-მარტო იჯდა მოხუცი. ეცვა სამხედრო იერის წითელ-საყელოიანი გახუნებული მწვანე ხაფთანი. დანაოჭებული სახე, თხელი ჭაღარა თმის ჩარჩოში ჩასმული უზარმაზარი შუბლით, გზისკენ ჰქონდა მიქცეული. დაძაბულად გაიყურებოდნენ სიბერისაგან დაუძლურებული თვალები.

აი მოისმა ზარის წკარუნი. ახლად აყვავებულ ხეებში გამოჩნდა ძიმე საფოსტო ეტლი. მოხუცი წამოდგა, სახეზე სიხარულმა გადაურბინა, მაგრამ მეეტლემ მაგრა გადაუჭირა შოლტი ცხენებს, და ეტლმა რახა-რუხით ჩაუარა გვერდზე მოქცეულ ჭიშკარს. მოხუცმა წარბები შეიჭმუხნა და, თუმცა ვერავის ვერ ხედავდა, სწრაფად მოიწმინდა თვალებზე მომდგარი ცრემლები.

„არ მომდის პასუხი",—გაიფიქრა მწარედ. ალბათ, ბატონიშვილს მირიანს არა სცალიან მოხუც დავითისთვის. კიდევ რამდენხანს უნდა უცადოს პასუხს? ღირს კი? უკვე 83 წელი შეუსრულდა, მიიწურა დღეები. გული სტკივა: ეშინია, მისი ლექსები უქმად არ დაიკარგოს. როგორ უნდა ამ ლექსებმა მშობლიურ საქართველოს მიაღწიონ. გამოგონებანი? განა ისინი სარგებლობას არ მოუტანენ ადამიანებს?

1787 წლის შემოდგომაზე მუდამ დინჯი და წყნარი დავით გურამიშვილი ძალზე აღელვებული გამოიყურებოდა. უკრაინის მშვიდობიან, მიყრუებულ სოფელ ზუბოვკაში სასიხარულო ამბავი მივიდა: პოეზიის მოსიყვარულე და ლექსის კარგი დამფასებელი, ეროკლე მეფის შვილი მირიანი დაინიშნა ელჩად ეკატერინე მეორის კარზე და პეტერბურგს მიემგზავრება. მოხუცმა გადასინჯა თავისი ლექსები და ამოარჩია ისინი, რომლებიც საუკეთესოდ მიაჩნდა. შეუდგა გადარჩეულის გადაწერას დიდ რვეულში. უნდოდა ხელ-

ნაწერი ლამაზი გამოსულიყო: გულდასმით გამოჰყავდა ლექსების სათაურები და ყოველი ტაეპის პირველი სიტყვა. მაგრამ მალე მოიქანცა, ხელი აუკანკალდა, ბწკარები პირდაპირ აღარ მიიმართებოდნენ, ჯიუტად მიიწევდნენ ზემოთ ან ეშვებოდნენ ქვემოდ. იძულებული ხდებოდა შეეჩერებინა მუშაობა.

ახლოვდება ოქტომბერი. დაჰქროდნენ ყვითელი ფოთლები და ეს ქართლის შემოდგომას აგონებდა. ხელნაწერი მაინც დამთავრებული იყო. თავის შვილობილს, თავის საყვარელ ქმნილებას გურამიშვილმა „დავითიანი“ უწოდა. ერთხელ კიდევ გადაიკითხა ხელნაწერი, აქა-იქ შეასწორა და ახალ ქაღალდზე გადაწერილი ბწკარები ძველ სტროფებს დააკრა. ხელნაწერის შესავალში ჩაურთო:

ამ ლექსთ თავი მოუყარე,
საცა მეთქვა თვითო ობლად,
აგების რომ ბრძანოს ვინმე
სიტყვა ჩემთვის შესანდობლად.

ხელნაწერში 283 გვერდი იყო. უკანასკნელი გვერდის შემდეგ რვეულში ჩააკრა წყლის წისქვილისა და სარწყავ ნაგებობების რთული ნახაზები. დიდი ფურცლის შუა ადგილას გამოხატა თავისი თავი ზეაპყრობილი სახით და სალოცავად გადაჯვარედინებული ხელებით. მეორე მხარეზე მოათავსა თავის საოცარ გამოგონებათა აწერილობა, ხოლო ქვეშ რუსულად მიაწერა: „Порутчик князь Давид Гурамов“.

„დავითიანი“ ბატონიშვილ მირიანისთვის იყო დანიშნული: მის გასართობად პეტერბურგის დაუსრულებელ ღამეებში. ხოლო თხოვნაში გურამიშვილი მოწიწებით ევედრებოდა ბატონიშვილს: ეშუამდგომლა რუსეთის მთავრობის წინაშე — მიეცა მისთვის სესხად ორასი მანეთი და გაეგზავნა მასთან მანქანების საქმის მცოდნე კაცი გამოგონებათა შესამოწმებლად — გაეგზავნა თუ 1788 წლის მარტში არა, აპრილში მაინც. გურამიშვილი ჩქარობდა, ეშინოდა სიკვდილს არ დაესწრო.

რა მოხდა შემდეგ — არ ვიცით. ან კი ვინ გაუწოდებდა დახმარების ხელს სამშობლოს მოწყვეტილ პოეტს თვითმპყრობელურ რუსეთში? მოკვდა იგი მარტოობაში, როგორც თვითვე იწინასწარმეტყველა:

აღარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი,
არც ზედ დამღერა; აწ ამას ვსტირი:

ცრუმან საწუთრომ მარიდა პირი,
არ აღმისრულა მან დანაპირი.

ვამე ცოდვილსა, მე უმადლოსა,
დავრდომილობით უხუც-უმღვდლოსა!
მე ვინ მილოცავს, ან ვინ მიწირავს,
ან ვინ დამმარხავს, ვინ დამიტირავს?!

არავინ უწყის, სად არის დავით გურამიშვილის საფლავი. მაგრამ „დავითიანმა", მისმა ამ ძვირფასმა ხელნაწერმა, ჩვენამდე მოაღწია. და დღეს მოწიწებით გვიჭირავს იგი ხელში, გულის ფანცქალით ვფურცლავთ მის მკვრივ გვერდებს და მადლობით ვიგონებთ დიდ ქართველ პოეტს, თითქმის ყველაზე თვალსაჩინო პოეტს შოთა რუსთაველის შემდეგ.

გურამიშვილმა იცოცხლა თითქმის მთელი მეთვრამეტე საუკუნის მანძილზე. ალბათ, მან მრავალი სიმწარე განიცადა, რაც ბედის ტრიალს შეუძლიან დააატეხოს კაცს თავზე. მისმა მშობლიურმა ქვეყანამ, უცხოელთა შემოსევით გაწამებულმა და შინაურთა ბრძოლა-ჯანხმოებით გალატაკებულმა, უდიდესი ნაციონალური ტრაგედია განიცადა. უკვე დიდი ხანი აღარ არსებობდა პოლიტიკური ერთიანობა რუსთაველის ეპოქაში ესოდენ ძლიერ საქართველოს სახელმწიფოსი. სისხლის ნიაღვრებით წალეკილ საქართველოს დამოუკიდებლობა თითქმის მთლად დაკარგული იყო. ქართლი და კახეთი ირანის შაჰების სათარეშოდ იყო გადაქცეული. აღმოსავლეთ საქართველოს მოწყვეტილი დასავლეთი საქართველო, თავის მხრივ, რამდენიმე წვრილ სამეფო-სამთავროდ იყო დანაწილებული. საქართველოს სამხრეთი ნაწილი თურქებმა მოსწყვიტეს. მთის ტომები თავიანთი მოულოდნელი თავდასხმით და აკლება-აწიოკებით მოსვენებას არ აძლევდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ჩრდილოეთიდან რუსეთის იმპერატორებს უკვე გამოეშვირათ თავიანთი მტაცებლური ხელები. ქართველთა ბევრი ქალაქი გაცამტვერებული იყო, ვაჭრობა და ხელოსნობა ეცემოდა. ხალხი უზომო უბედურებას განიცდიდა.

ახალგაზრდა დავით გურამიშვილს, არაგვის წარმტაც ნაპირებზე აღზრდილს, ბედმა არგუნა გამხდარიყო საქართველოს ისტორიის ამ ტრაგიკულ მოვლენათა მნახველი და აღმწერელი:

წალმა მბრუნავმა დრო-ჟამმა
უკუღმა შექნა ტრიალი,
ფრთა მოჰკრა ქართლსა, კახეთსა,

შეაქნევინა ხრტიალი;
მამლები ტურამ დაჭამა,
დედლები დარჩა ტიალი,
მიდგა ყოვი და ყორანი,
დანაწყებინა წკრტიალი.

პოეტის პირადი ბედი გასაოცარი და უაღრესად მძიმე აღმოჩდა. ცხოვრების სიმწარე მან სიჭაბუკეშივე იგემა. გურამიშვილის ლექსებში გადმოცემულია შესანიშნავი ამბავი იმის შესახებ, თუ ერთ მშვენიერ დილას როგორ დაესხნენ მას თავს ქსნის ხეობაში ლეკები, როგორ დაატყვევეს და წაიყვანეს იგი მთაში, როგორ მოახერხა იქიდან გაქცევა, როგორ შეურთდა სამეფო ტახტიდან გაძევებულ და რუსეთში გადახვეწილ ვახტანგ მეექვსის ამალას. მაგრამ ვახტანგ მეექვსე უკვე მკვდარი იყო, საქართველოში დაბრუნება შეუძლებელი აღმოჩნდა და ახალგაზრდა პოეტი იძულებული გახდა შესულიყო რუსეთის სამხედრო სამსახურში.

დაიწყო სიხარულს და ნუგეშს მოკლებული წლები. მიუხედავად ამისა, დავით გურამიშვილის პოეტური ნიჭი მაინც იწრთობოდა და ღრმავდებოდა. მაგრამ თვით ვიონის თუ სერვანტესის ტანჯული ცხოვრებაც კი არ იყო ისეთი უნუგეშო და უიმედო, როგორსაც შესანიშნავი ქართველი პოეტის ცხოვრება წარმოადგენდა. საგმირო საქმეები ბრძოლის ველზე, ტრაგიკული შემთხვევები და უბედურებები ერთმანეთს სცვლიდნენ. შორს სამშობლოდან გურამიშვილი იბრძოდა როგორც დაქირავებული მეომარი, იბრძოდა სხვისი ინტერესებისთვის, იბრძოდა სხვის მიწაზე. აი რას სწერს იგი, როცა თანამემამულეთა ცხოვრებას გვიხატავს:

ჩვენი გითხრა სამსახური,
სხვა რა გვექნა ამის მეტი:
ათას შვიდას ოც-და-ცხრამეტს
ხოთინის კარს ვთხლიშეთ კეტი,
ორმოც-და-ორს ფინდრიღავანს
ცეცხლით გამოვბუგეთ შვეტი.
და ორმოც-ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს
შეურყივეთ ტახტის სვეტი.
ორმოც-თვრამეტს ბრუსმან დაგვკრა,
თავსა დაგვახვივა რეტი,
მე ჩემს ძმებსა დამაშორა,
ლუწისაგან დავრჩი კენტი.

მაღდებურხის ციხეშიგან
დამსვა კარებ დანაკლეტი,
და მუნით ვიხსენ, შინ წამოველ,
ქერი ვხან და ყანა, ფეტვი.
ფეტვი ბევრი მოვიყვანე,
მაგრამ ვერა ვშჭამე მჭადი,
მე მომითხრეს: მანდედამე
ახლა ადექ, სხვაგან წადი.
ძალ-უნებრივ წამიყვანეს,
სადაც არა ვიყავ მწადი,
და ვამე ტკბილო სიცოცხლეო,
რომ შენ ასე გამიმწარდი!

პრუსიის ტყვეობიდან დაბრუნებულ პოეტს,—დაბრუნებულს არა სამშობლოში, არამედ უკრაინაში, სადაც მას კარ-მიდამო ჰქონდა მიცემული, — სახლი მთლად გადამწვარი დახვდა. ხელახლა მოუხდა ჭაპანწყვეტა მოტიტვლებულ მიწაზე.

დიდის მხნეობით და ცხოვრების უზომო ძალით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი ადამიანი, რომ ყოველივე ეს აეტანა. უბედურება და მარცხი საფლავამდე სდევნიდნენ გურამიშვილს. იგი ტრაგიკულ მარტოობას განიცდიდა. სწერდა ძლიერ ლექსებს, შინაარსით ღრმა და ფორმით საუცხოო ლექსებს, მაგრამ თითქმის არა ჰყავდა მკითხველი ამ ლექსებს. იგი გატაცებული იყო რუსთაველის პატრიოტიზმის და მისი გმირული სულის აღდგენით, სურდა პოეტური სიტყვის დაახლოვება ხალხურ მეტყველებასთან, მისი გადაქცევა რეალისტურ სიმართლედ, მაგრამ ქართველმა ხალხმა მაშინ არც კი უწყოდა პოეტის არსებობა. სამშობლოს ტრაგიკული ბედი, საკუთარ ცხოვრებაში დაგროვილი მთელი ბოლმა-ვარამი, მთელი თავისი მწუხარე სიბრძნე საუცხოოდ გამოხატა გურამიშვილმა თავის მკაცრ, მაგრამ სიმამაცით აღსავსე ლექსებში.

ქართველმა ხალხმა არ დაივიწყა დავით გურამიშვილი. მისი შესანიშნავი ლექსები შორი გზით დაუბრუნდნენ სამშობლოს, შევიდნენ ხალხის სულიერ საგანძურში, მისაწვდომი გახდნენ ყველასთვის, — ყველასთვის, ვისაც კი ქართული კულტურა უყვარს. ჩვენ, ბრავალმილიონიანი სტალინური სამშობლოს მოქალაქენი, აღტაცებით ვეგებებით დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებას. ხოლო აყვავებულ სოციალისტურ უკრაინაში, სადაც მარტოობაში დალია თავის გასაოცარი დღენი დავით გურამიშვილმა, მის სასახელოდ ძეგლი იქნება აღმართული.

ბიბლიოგრაფია

ბ. მეგუკე

გრიგოლ აბაშიძე: „შავი ქალაქის გაზაფხული“

ახალგაზრდა პოეტი გრიგოლ აბაშიძე პირველად გამოდის ასეთი დიდი აქტუალური თემითა და ფართო ტილოთი. სადებიუტო ნაბიჯი პოეტის თვალსაჩინო ზრდის მაჩვენებელია.

სარეცენზიო ნაწარმოები დაწერილია მკვირცხლი და მსუბუქი ენით, ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და აღფრთოვანებით. პოემა წარმოადგენს დიდი ბელადის სახის მხატვრულად გადმოქანდაკების გაბედულ და ნაწილობრივად გამართლებულ ცდას.

პოემის თემად აღებულია ბელადის წარსული რევოლუციური ცხოვრების ერთერთი მომენტი: ესაა მისი იატაკქვეშ მუშაობა და მენშევიკებთან ბრძოლა ჭიათურაში. ნაწარმოებს საფუძვლად უდევს მკვეთრად განსაზღვრული იდეა: გვიჩვენოს ბელადის სახე ჩვენი ქვეყნის ერთ კუთხეში ბრძოლისა და მოღვაწეობის ფრონტზე.

ნაწარმოების უეჭველ ღირსებას წარმოადგენს მაღალი მხატვრული დონე, იგი დინჯი ეპიური თხრობით მდიდარი მხატვრული სახეებითა და ეპიტეტებით ხასიათდება. სისადავე და უბრალოება თითქმის ხალხური შემოქმედების სიმსუბუქემდეა დაყვანილი და ეს ამ ნაწარმოებს კიდევ უფრო უხდება, რითმები ყველგან ბუნებრივი და ძალდაუტანებელია, სურათები ნათლად, მტკიცედ და სრულად დახატული, მუსიკალური ბგერიანობა, მსუბუქი და ნაირნაირი. ნაწარმოები დიდი ხალისით და გაძლიერებული ინტერესით იკითხება. კითხვის ასეთ ხალისსა და ინტერესს თემასთან ერთად იწვევს მისი მოხდენილი მხატვრულობა.

ფაქტებს და მოვლენებს, პეიზაჟებს და პერსონაჟებს პოეტი მშვენიერ და ჭომხიბვლელ სურათებში იძლევა, მკითხველი ისე გადაიკითხავს მთელ ნაწარმოებს, რომ არსად არ იგრძნობს პოეტის ლაღი აღმაფრენის შენელებას და პოეტური ლიცენციის გამოყენების ცდას, რაც ნაწარმოების დიდი და უდავო ღირსებაა. აქ თემაც თამაშობს დიდ როლს. ის ავსებს პოეტს სიხარულით, აღფრთოვანებით და აძლევს მას დიდ აღმაფრენას.

ნაწარმოები იხსნება ჭიათურის ლამაზად დახატული პეიზაჟით.

მოქმედება სწარმოებს გაზაფხულზე, სადაც ტყემალი და ატამი ყვავის და როდესაც „ყაყაჩო ბალახებთან ჯდება, როგორც ხატ-პეპელა“. ჭიათურის სპეციფიურობაში მოქცეული ბუნების მოვლენები თავისებურად ვითარდებიან

და ყვავილებიც კი „ფერს შეირჩენს შუადღემდი, შუადღიდან გარუბდება". ეს ტყემლის ყვავილზეა ნათქვამი. ატმის ყვავილსაც ასეთივე ბედი აქვს. ბინა „ცისკრის ფერი, საღამომდე მწუხრის ფერად შეიცვლება". მოხდენილი მხატვრული სახეა ტყემლის თეთრი ყვავილის ფერისცვალებაზე:

„ტყემალი ყვავილის ფერს
მთებზე თოვლის ნარჩენს პარავს".

ან კიდევ:

„ატმის ტოტი გაშლილ ყვავილს
გახურებულ თორნის ფერად".

უკეთესი ფერებით და უფრო მეტად მკვეთრი მაღალპოეტური აღნაგობითაა აღწერილი მდინარე ყვირილა. რამდენიმე სტრიქონში მოცემულია ამ მდინარის სრული და ნათელი სურათი. მოხდენილადაა დაკავშირებული და ახსნილი მდინარის სახელწოდება მის ხმაურობასთან.

„არ იყვიროს, აბა რა ქნას
გზა კედლებით გარაგვია".

მაგრამ ბუნდოვანი და მკითხველისთვის არც მთლად იოლი წარმოსადგენი სახეა: „ზოგან ფსკერის მოსჩანს ჭიქა". განსაკუთრებით აღსანიშნავია მდინარე ყვირილა ჭიათურამდე, თვით ჭიათურაში და ქვემოდ:

„როგორ ჰქონდა თეთრად კალთა,
რა სუფთა და რა კამკამა.
ამ ქალაქის შესავალთან
რა ეშმაკმა ჩააღამა".

პეიზაჟის ფერი ოსტატურადაა შეხამებული პერსონაჟების ფერებთან. შავი ფერით დადაღულია მაღაროს მუშების დუხჭირი და აუტანელი ცხოვრების ჯოჯოხეთური პირობები. სამუშაო დროის გიგიას ვარსკვლავივით განსაზღვრა ჰოხდენილია და ნაწარმოების კომპოზიციურ აღნაგობას აძლიერებს. გიგიას ვარსკვლავი ნიშნავს გათენებამდე ადრე მუშაობის დაწყებას და გვიან ღამემდი მუშაობას. რას წარმოადგენს თვით მაღარო? სიბნელე, მუხლებამდი წყალი, დაბალი ჭერი, წელში მოკაკვით მუშაობა, უბინობა, თავისი ბედისა და გაჩენის წყევლა. ყრუ უკმაყოფილებისა და პროტესტის ხმები. ამ დროს ჭიათურას ეწვევა ბელადი. ფურცლების გამოშვება, მუშათა წრეების დაარსება, მუშათა კრებების მოწვევა, დისკუსიების გამართვა, მენშევიკებთან ბრძოლა და დატაკება, ბელადის გამოსვლა. მენშევიკების დამარცხება.

მშვენივრადაა ბელადის გამოსვლაში ერთი მომენტი: დევისა და დედაბრის არაკი.

მენშევიკების როლი მუშათა მოძრაობაში საუცხოოდაა შედარებული დედაბერთან. ნაწარმოების ეს დამხმარე ეპიზოდი ძლიერ უხდება პოემის სუეტურ მშენებლობას.

ნაწარმოებში მრავლადაა კარგი შედარებები. მოხდენილი ეპიტეტები და მეტაფორები, მაგალითად: „ბროწეულის ყვავილივით ყალიონი მიანათა", „გაშალა ხელი, როგორც არწივი ფრთას გაშლის ხოლმე დამშვიდებული", „ულვაშებზე მარგალიტი წვეთი ჯდება ვარდისფერი" (წითელი ღვინის სმით),

„თეთრი ყურისბალიშივით წინ დაგიდგეს ჭყლინტი ყველი“, „ღვინო თუ არ მოიტანე, ფერად როგორც განთიადი“ და სხვა მრავალი.

განსაკუთრებით მაღალი პათოსითაა მოცემული, დღევანდელი ჭიათურა ეპილოგის სახით, მკითხველის წინაშე იშლება დიამეტრალურად წინააღმდეგი სურათი. ბუნება და ხალხი, პეიზაჟი და პერსონაჟი, ყველაფერი შეცვლილია, ახლა ერთიც და მეორეც იცინის, ლაღობს, ზეიმობს ბედნიერ და საამურ ცხოვრების ფერხულში ჩაბმული.

პოემას ახასიათებს ზოგიერთი ნაკლი და სუსტი მხარეები. ნაწარმოები, მიუხედავად მრავალი ღირსებისა, ნაწილობრივად ემპირიულია. საგნებისა და მოვლენების სიღრმეში ჩაუხედველობით პოეტი ზედაპირს უფრო გვიჩვენებს, ვიდრე იმ დიდ კლასობრივ ბრძოლებს, რომელიც მაშინ ჭიათურაში ხდებოდა და რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი ბელადი. პოემაში ეს დიდი ამბები საკმაო სიღრმით ვერაა დაწურული. ავტორს მაშინდელი ბრძოლები უფრო ძძაფრ სურათებში უნდა მოეცა და ბელადის სახეც შეემოსა მუშაობისა და ბრძოლის პროცესში უფრო მეტი წარავანდენდით, და არა სტაბილური სახით ჩამოეჭანდაკებია იგი.

სარეცენზიო წიგნი, მიუხედავად ზოგიერთი სუსტი მხარისა და ნაკლისა, თვალსაჩინო შემატებაა ქართულ ლიტერატურისთვის და იგი პოეტის შემოქმედებითი ზრდის მაჩვენებელია.

გადაეცა წარმოებას 1/VIII-38 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/IX-38 წ.
4 ფორმა. ანაწყობი ზომა 6 × 10. ქაღ. ზომა 62 × 94. მთავლიტის რწმუნებულის № 3744 შეკვეთა № 1572 ტირაჟი 6000

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ეორესის ქ. № 5

1938 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად.

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად	18 მან.
ნახევარი წლით . .	9 „
ცალკე ნომერი . . .	1 მ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

ფასი 1 ს. 50 კ.

ح 553
1938

Ежемесячный журнал

„ЧВЕНИ ТАОБА“

Сахелгами 1938 г. Тбилиси